პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 31 (5132) | სამშაბათი, 8 თებერვალი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

მუშაობის ბოლშევიკური სტილია — ენდო და შეამოწმო („პრავდის“ მოწინავე).
ლონისძიებანი გმირ პაპანინელთა გადმოსაყვანად (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მანქანა - ტრაქტორთა სადგურების დაფინანსების წესის შესახებ (მე-2 გვ.)
ერ. ბურჯულაძე — რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის (მე-2 გვ.)
მზადება საგაზაფხულო თესვისათვის (მე-3 გვ.)
ი. პატარაია — გეოლოგიური ძვლევა-ძიების ამოცანები საქართველოში (მე-3 გვ.)
სანდრო ეული—სულ წინ და მაღლა (ლექსი—მე-3 გვ.)
ახალი აფხაზური ალფაბეტი (მე-4 გვ.)
უცხოეთში
ცვლილებები გერმანიის მთავრობასა და არმიის ხელმძღვანელობაში (1-ლი გვ.)
უცხოეთის პრესის გამოძახილი გერმანიის ამბებზე (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.)

მუშაობის ბოლშევიკური სტილია—ენდო და შეამოწმო

კადრების მიმართ ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მოითხოვს ადამიანებისადმი **ნდობის** შეხამებას მათთვის დაკისრებული საქმის შესრულების **შემოწმებასთან.** არცერთი პარტია მსოფლიოში ისე გაბედულად და გადაჭრით არ აწინაურებს ადამიანებს, როგორც ლენინისტალინის პარტია. მრავალი ათეული ათასი პარტიული და უპარტიო ადამიანის დაწინაურება, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, ძირეული სამუშაოდან ხელმძღვანელ სამუშაოზე — მოწმობს ჩვენი პარტიის უდიდეს რწმენას მასებისადმი, პარტიის განუყოფელ კავშირს მასებთან, მოწმობს პიროვნების გაფურჩქვნას სოციალიზმის პირობებში და იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც პარტია იჩენს ადამიანთა ზრდისათვის, აღზრდისათვის.

მუშაკთა დაწინაურება ჩვენს ქვეყანაში ბრმად არასოდეს არ ტარდებოდა. ენდობოდა რა, პარტია მუდამ მკაცრად ამოწმებდა ადამიანებს პრაქტიკულ მუშაობაში. ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ ადამიანთა შემოწმება და შესრულების შემოწმება მთავარია ხელმძღვანელობაშიო. მუშაობაში ადამიანთა მკაცრ, მუდმივ შემოწმებას განსაკუთრებით იწვევს კაპიტალისტურ გარემოცვაში სოციალისტური ქვეყნის არსებობის პირობები. ფიზიზელ რევოლუციურ თვალს რული არ უნდა ეკარგებოდეს. მაგრამ ბოლშევიკურ სიფხიზლეს არაფერი აქვს საერთო ლაჩრულ ეჭვიანობასთან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა კვლავ განუმარტა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ მხოლოდ მტერია დაინტერესებული გაავრცელოს ჩვენს რიგებში დაურწმუნებლობა და ზედმეტი ეჭვიანობა. გარიცხულთა აპელაციების გარჩევა გვიჩვენებს, თუ რა ბევრ პატიოსან ადამიანს დასწამეს ცილი პარტიის შენიღბულმა მტრებმა, კარიერისტებმა — სიფხიზლის სპეკულანტებმა, ყველა ჯურის ვიგინდარებმა, რომლებიც მზად არიან ჩირქი მოსცხონ რაც შეიძლება მეტ ადამიანს. მზად არიან ჩირქი მოსცხონ, რათა თავიდან აიცდინონ დარტყმა და რათა მოახდინონ პარტიული და სახელმწიფო აპარატის ნორმალური მუშაობის დეზორგანიზაცია. მაგალითად, კიევის ოლქის ჩერკასკის რაიონში დიდხანს „ჰყავდა ტერორის ქვეშ მთელი პარტორგანიზაცია ვინმე ბესჩინსკის. მან ორმოცზე მეტი ცილისმწამებლური განცხადება შეიტანა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოში, რაიონის ყველა კომუნისტს სდებდა ბრალს მტრებთან კავშირში. მან მეორე „კომუნისტ“ პეტუხთან შეხმატკბილებით, პარტიის წევრთა მთელ ჯგუფს პროვოკაციულად დაწამებინა ცილი პატიოსანი ადამიანების მიმართ. ბესჩინსკი ამჟამად ცილისწამებისათვის მსჯავრდადებულია საბჭოთა სასამართლოს მიერ.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა—გაჰფანტოს ზედმეტი ეჭვიანობის ატმოსფერო, შექმნილი ანტიპარტიული ადამიანების მიერ ბევრ ორგანიზაციაში, განამტკიცოს ნდობა საბჭოთა ადამიანებისადმი. მხოლოდ მტერია დაინტერესებული ხელაღებითი უნდობლობის თეორიისა და პრაქტიკის გავრცელებით. საბჭოთა ხალხი, რომელმაც მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოსპო უმუშევრობა და სიღატაკე, გამდიდრებისადმი მისწრაფება, — ყველაზე უფრო პატიოსანი ხალხია. საზიზღარი მტრები — ფაშისტურ დაზვერვათა მოსყიდული აგენტები, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში შეპარულნი, ეზიზღებათ და სძაგთ ათობით მილიონ პატიოსან ადამიანებს, მთელ ხალხს, რომლებიც ყოველდღიურად უდიდეს შემოქმედებითს ენერგიას ახმარებენ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას.

კოლოსალურია სულ ახალ-ახალი ხელმძღვანელების დაწინაურება სოციალისტური მშენებლობის რიგითი მონაწილეების რიცხვიდან. პარტიისა და ხალხის დიად ნდობას ახალი ხელმძღვანელები ამართლებენ პატიოსანი მუშაობით. პარტიასა და საბჭოთა მთავრობას არაერთხელ მიუციათ რიგითი მუშაკებისათვის საგზურები გმირული რეალების თავგანწირული სამუშაოს, უაღრესად პასუხსაგებ დავალებათა შესასრულებლად. და ეს ადამიანები პირველად გამოდიოდნენ, ამართლებდნენ პარტიისა და მთავრობის ნდობას. ასე გახდა ცნობილი საბჭოთა კავშირის გმირთა სახელები, ასე გახდა ცნობილი მთელი ქვეყნისათვის სოციალისტური შრომის მრავალი და მრავალი გმირის სახელი.

არ ქმარა ადამიანის დაწინაურება ამათუიმ პოსტზე. საჭიროა კიდევ დაეხმარო მას, დროზე მისცე რჩევა, დროზე გააფრთხილო შეცდომებისაგან. მხოლოდ ასეთი ბოლშევიკური მიდგომა ადამიანებისადმი უზრუნველყოფს ხელმძღვანელს ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნისაგან, ხელაღებითი ობივატელური ნდობიდან ხელაღებითს უნდობლობასა და გაბიაბრუებაზე გადასვლისაგან. სახელდობრ სწორედ ხელაღებითი გაბიაბრუების ასეთ გზას დაადგა, მაგალითად, პარტიის იაროსლავლის საოლქო კომიტეტი, მისი ყოფილი მდივანი ამხ. ზიმინი.

„პრავდა“ ამ დღეებში იუწყებოდა აღმაშფოთებელ ფაქტებს იაროსლავლის ოლქკომის მხრივ კადრების „ხელმძღვანელობის“ პრაქტიკიდან. იაროსლავლის ოლქში დიდი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ხელმძღვანელად დააწინაურეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კრასნოვი. მას არავითარ დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევდნენ, შემდეგ კი ოლქკომმა იგი დევნით დატახჯა ვითომდა შეცდომებისათვის მტს-ის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. ეს სავალალო ფაქტი სიგნალი უნდა გახდეს იმ ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც დეხმარებას, ხელმძღვანელობას არ უწევენ ახალ კადრებს, რომლებიც არ სწავლობენ ადამიანებს, არ აბოწმებენ მათ მუშაობაში, შემდეგ კი ხელაღებით სახელს უტეხენ.

კადრების ბოლშევიკური აღზრდა მოითხოვს მუშაკების ღრმა შესწავლას, რა თქმა უნდა არა მარტო ანკეტით, არამედ ცოცხალი მუშაობით; იგი მოითხოვს შეცდომების მკაცრ, დროულ კრიტიკასაც და გულთბილ ამხანაგურ მხარდაჭერასაც, სწავლებასაც. ასეთი ხელმძღვანელობის ნიმუშებს ჩვენ ყოველდღე გვაძლევს სტალინური ცენტრალური კომიტეტი. უხელმძღვანელო ადამიანებს, ასწავლო და ზარდო კადრები—სრულიადაც არ ნიშნავს მეურეობა გაუწიო ადამიანებს, მით უფრო გასწიო მათი მაგივრობა და გააუპიროვნო ისინი, ვინაიდან ასეთი მეთოდები მხოლოდ ხელს უშლიან ახალი კადრების ზრდას და, მაშასადამე, ზიანს აყენებენ პარტიის სასიცოცხლო ინტერესებს. ენდე და ამავე დროს შეამოწმე, კონტროლი გაუწიე, დროზე დეხმარე, წაახალისე ინიციატივა, — აი ბოლშევიკური აღზრდის სწორი გზა.

გაჰფანტო ზედმეტი ეჭვიანობა—ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს მოახდინო ცილდაწამებულ ადამიანთა სრული რეაბილიტაცია და აქტიურად, სრული ენერგიით, დაეხმარო მათ ჩაებან სოციალისტურ მშენებლობაში. აქ დიდი როლი ეკუთვნის პრესას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა გაზეთს როდი აქვს შეგებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ეს პირდაპირი დირექტივა და როდი ასრულებენ მას. ბევრი რედაქტორისათვის, ეტყობა, მუნდირის ღირსებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პარტიის დირექტივების პატიოსნად შესრულება! გაჰფანტო ზედმეტი ეჭვიანობა და დაურწმუნებლობა — ეს ნიშნავს ჩაობა აქტიურ პარტიულ მუშაობაში არასწორად გარიცხული და ახლა პარტიის რიგებში აღდგენილი პატიოსანი კომუნისტები.

ამ ამოცანის შესრულების მაგალითს გვიჩვენებს ლენინგრადის ზოგიერთი პირველადი ორგანიზაცია. კიროვის ქარხანაში ცილი დასწამეს კომუნისტს ამხ. კაპუსტინს. მას მავნებლის იარლიყი მიაკრეს, პოლიტიკური უნდობლობა გამოუცხადეს. ყველა ბრალდება მის წინააღმდეგ ყალბი აღმოჩნდა. ამხ. კაპუსტინი აღადგინეს პარტიაში და დააკისრეს მას უხელმძღვანელოს პარტიის ისტორიის წრეს. ეს წრე ამჟამად ერთერთი საუკეთესოა ქარხანაში. გამოჩნდნენ მოჩურჩულენი და ცილისმწამებელნი, რომლნიც პარტიაში კაპუსტინის აღდგენის შემდეგაც ცდილობდნენ სახელი გაეტეხა მისთვის. მიუხედავად ამ ახალი ცილისწამებისა, ქარხნის ხელმძღვანელებმა ამხ. კაპუსტინი დანიშნეს ტურბინების საამქროს უფროსის მოადგილედ. ამ პატიოსანი მუშაკის ხელმძღვანელობით მუშაობა საამქროში შესამჩნევად გაუმჯობესდა. აი ცილდაწამებული ადამიანის მიმართ შეცდომის სრული გამოსწორების პრაქტიკული მაგალითი.

ენდე და შეამოწმე! — ასეთია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის კანონი. საჭიროა ცოცხალი, არა ანცელარული შემოწმება ზევიდან, როცა, ვთქვათ, პარტიის საოლქო კომიტეტი ადგილზე სწავლობს, ამოწმებს რაიკომის და მისი მდივნის მუშაობას. „დავალებათა შესრულების შემოწმება, — ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა მათს შემოწმებას მუშაობის ადგილას შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით“. (სტალინი). ასეთი შემოწმება შესაძლებლობას იძლევა გამოიცნო მუშაკი, გამოარკვიო მისი ნამდვილი თვისებანი.

„მაგრამ ზემოდან შემოწმება სრულიადაც ვერ ამოსწურავს შეცდომების მთელ საქმეს. არსებობს კიდევ სხვა სახის შემოწმება, შემოწმება ქვემოდან, როდესაც მასები, როდესაც ხელმძღვანელობის ქვეშმყოფნი ამოწმებენ ხელმძღვანელებს, აღნიშნავენ მათს შეცდომებს და მიუთითებენ მათი გამოსწორების გზებს. ასეთი სახის შემოწმება წარმოადგენს ადამიანთა შემოწმების ერთერთ უნამდვილეს საშუალებას“. (სტალინი).

ენდე და ამავე დროს შეისწავლე, შეამოწმე მუშაკები — აი რა ახასიათებს კადრების აღზრდის ბოლშევიკურ, სტალინურ სტილს. ადამიანთა მიმართ ხელმძღვანელობაში ამ პირობების დაღვევა — ეს არის პარტიის სასიცოცხლო ინტერესების, ხალხის ინტერესების დარღვევა.

„პრავდის“ მოწინავე 7/II

ცვლილებები გერმანიის მთავრობასა და არმიის ხელმძღვანელობაში

ბერლინი, 5 თებერვალი (საკდესი). ყველა გაზეთში, გარდა „ფრანკფურტერ ციტუნგისა“, გამოქვეყნებულია ჰიტლერის განკარგულებანი მთავრობაში დიდი ცვლილებებისა და სამხედრო, მეურნეობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების რეორგანიზაციის შესახებ. სამხედრო, პოლიტიკური და სამეურნეო საკითხების მთელ ხელმძღვანელობას ჰიტლერი თავს უყრის საკუთარ ხელში.

გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას ჰიტლერი თვითონ კისრულობს. ხდება სამხედრო სამინისტროს რეორგანიზაცია, სამხედრო ძალების მმართველობა, რაც დღემდე სამხედრო სამინისტროს სისტემაში იმყოფებოდა, „შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობად“ გადაკეთდება და უშუალოდ ჰიტლერის ხელმძღვანელობის ქვეშ იქნება, როგორც მისი „სამხედრო შტაბი“. შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობას ენიჭება სამხედრო სამინისტროს ყველა ფუნქცია. შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელს აქვს საიმპერიო მინისტრის რანგი და მას გადაეცემა სამხედრო მინისტრის მთელი რწმუნებანი. ჰიტლერის მითითებათა თანახმად, შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის გამგებლობაში იქნება ყველა დარგის შეიარაღებათა საკითხები.

„შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის“ ხელმძღვანელად დანიშნულია გენერალი კაიტელი. ყოფილი სამხედრო მინისტრი გენერალ-ფელდმარშალი ბლომბერგი, აგრეთვე არმიის მთავარსარდალი გენერალი ფრიჩი გადადგნენ. ოფიციალურ ცნობაში მათი გადადგომის მოტივად მოყვანილია „სუსტი ჯანმრთელობა“. არმიის სარდლად ფრიჩის ნაცვლად დანიშნულია არტილერიის გენერალი ბრაუხიჩი, რომელსაც იმავე დროს მიენიჭა გენერალ-პოლკოვნიკის ხარისხი. ამავე დროს გამოქვეყნებულია დიდი სია არმიისა და სამხედრო საჰაერო ძალების მეთაურთა შემადგენლობის გადანაცვლებათა და დანიშვნათა, აგრეთვე სია უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის პირთა, რომელნიც გადარიცხულნი არიან თადარიგში. გერინგმა, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკის ხარისხი ჰქონდა, გენერალ-ფელდმარშლის ხარისხი ეიღო.

დიდი ცვლილებები მოხდა აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროში. საგარეო საქმეთა მინისტრი ნეირატი გადადგა. მის მაგივრად საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია რიბენტროპი. ამავე დროს საგარეო პოლიტიკის საკითხთა ხელმძღვანელობისათვის დაარსდა „საიდუმლო საბჭო“. საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ნეირატი, საბჭოს წევრებად დანიშნული არიან რიბენტროპი, გერინგი, გესი, გებელსი, ბრაუხიჩი, ადმირალი ოედერი და გენერალი კაიტელი.

ჰიტლერის განკარგულებით გამოწვეული არიან თავიანთი პოსტებიდან გერმანიის ელჩები: რომში — გასული, ტოკიოში — დირქსენი და ელჩი ვენაში — პაპენი.

მეურნეობის მინისტრად დანიშნული, პროპაგანდის სამინისტროს ყოფილი სტატს-სეკრეტარი ფუნკი შეუდგება მინისტრის მოვალეობის ასრულებას. (როგორც ვიცით, შახტის გადაყენების შემდეგ და ფუნკის მოსვლამდე მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა გენერალ გერინგს ჰქონდა დავალებული).

მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია პერსონალურ გადანაცვლებათა და ახალ დანიშვნათა დიდი სია. მეურნეობის სამინისტროს განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა სათავეში უმთავრესად დანიშნული არიან მაიორთა და გენერალ-მაიორთა ხარისხის მქონე სამხედრო სპეციალისტები.

გაზეთები იუწყებიან, რომ 20 თებერვლისათვის დანიშნულია რაიხსტაგის „სხდომა“, რომელზედაც გამოქვეყნებული იქნება მთავრობის დეკლარაცია.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

სამხრეთის ფრონტი

ჰავასის სააგენტოს ცნობით, 3 თებერვალს რესპუბლიკელებმა მეამბოხეებს უკან წაართვეს სალტო დელ გამოს პოზიციები, პენიაროიას სექტორში პოსობლანკოს დასავლეთით, რესპუბლიკელთა ჯარების წინსვლას ხელს უწყობდა საარტილერიო ბომბარდირება, რომელსაც მიზანში ჰქონდა ამოღებული მეამბოხეთა სიმაგრეები და მათი ზურგის გზები. ბრძოლის დროს რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა უკუაქციეს მეამბოხეთა ორ-ორ მოტორიანი თვითმფრინავები. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ტყვეები და დიდძალი საომარი მასალა. მეამბოხეების მიერ 4 თებერვალს მიტანილი კონტრიერიშები რესპუბლიკელებმა მოიგერიეს. გრენადის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს მეამბოხეთა რამდენიმე პოზიცია. ტყვედ წაიყვანეს რამდენიმე ჯარისკაცი და 1 ოფიცერი.

ცენტრალური ფრონტი

ცენტრალური ფრონტის სხვადასხვა უბნებში აღნიშნულია მეამბოხეთა ავიაციის აქტიურობა. კერძოდ, ფაშისტთა თვითმფრინავები მიუახლოვდნენ რესპუბლიკელთა ბანაკებს მდინარე ხარამზე, მაგრამ მათ საზენიტო ბატარიებიდან დაუშინეს და უკუაქციეს.

ალმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ალმუდევარის სექტორში რესპუბლიკელთა არტილერიამ ჩაანჩუმა მეამბოხეთა ბატარიები, რომელნიც ყუმბარებს უშენდნენ რესპუბლიკელთა პოზიციებს.

მეამბოხეთა მომარაგების ბაზას კალდეარენასში რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა.

ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 4 თებერვალს დილით ფაშისტთა სამი თვითმფრინავი გამოჩნდა ზღვის მხრიდან. მან 20 ყუმბარა გადმოყარეს ტარაგონის სამხრეთ ნაწილში. ფაშისტთა თავდასხმის შედეგად მოკლულია ერთი კაცი. 4 თებერვალს დღისით სამხრეთიდან ტარაგონთან მიახლოებას ცდილობდა კიდევ ფაშისტთა 8 თვითმფრინავი, მაგრამ ისინი გარეკეს საზენიტო ბატარიებმა. იმავე დღეს მეამბოხეთა 3 თვითმფრინავმა 24 ყუმბარა გადმოყარა საგუნტოში (ვალენსიის ჩრდილოეთით); მოკლულია ერთი კაცი, დაჭრილია 3.

მენორკის კუნძულზე ფაშისტთა ორი თვითმფრინავი ცდილობდა ტყვიამფრქვევი დაეშინა მუშათა ჯგუფებისათვის, რომელნიც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. თვითმფრინავებს საზენიტო ქვემეხების ცეცხლით შეხვდნენ, და ერთი მათგანი ზღვაში ჩავარდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა იაპონიას

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი (საკდესი). ამერიკის ელჩმა ტოკიოში გრიუმ დღეს იაპონიის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია: იაპონიის მთავრობას მოეხსენება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ლონდონის 1936 წლის საზღვაო ხელშეკრულების მონაწილე, წინააღმდეგი არიან ისეთი სახაზო გემების აგების, რომლებიც 35.000 ტონა წყალწყვას აღემატებიან და შეიარაღებული იქნებიან 16-დიუმიანზე უფრო დიდი ქვემეხებით. კრეისერების მაქსიმალური სიდიდე კი, ამერიკის მთავრობის აზრით, არ უნდა აღემატებოდეს 8 ათას ტონას და ისინი შეიარაღებული უნდა იყვნენ 6-დიუმიანი ქვემეხებით. სამწუხაროდ, იაპონიის მთავრობა არ შეუერთდა ლონდონის საზღვაო ხელშეკრულებას და დღემდე არ იძლევა არავითარ გარანტიას, რომ იგი პრაქტიკულად დაიცავს ხელშეკრულებით დაწესებულ ლიმიტებს.

უკანასკნელ დროს გავრცელებულ ცნობებს, რომ იაპონია შეუდგა ან ჰფიქრობს შეუდგეს ისეთი სახაზო გემებისა და კრეისერების აგებას, რომლებიც ლონდონის საზღვაო ხელშეკრულებით დაწესებულ სიდიდეს სჭარბობენ, იაპონიის მთავრობა არ უარჰყოფს, და ამიტომ ეს ცნობები სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვთ მიმართონ ესკალატორულ მუხლს, თუ რომ იაპონიის მთავრობა არ მისცემს გარანტიებს და არ დაარწმუნებს ამერიკის მთავრობას, რომ იგი 1943 წლის 1 იანვრამდე თავს შეიკავებს და არ ააგებს დაწესებულ ზომაზე უფრო დიდ გემებს ისე, რომ წინასწარ არ აცნობოს ეს ამერიკის მთავრობას.

არადამაკმაყოფილებელი პასუხის შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული იქნება იფიქროს, რომ იაპონია აშენებს ან განზრახული აქვს შეუდგეს დაწესებულ ლიმიტებზე უფრო დიდი გემების აშენებას. ამიტომ ამერიკის მთავრობამ ლონდონის საზღვაო ხელშეკრულების მონაწილეებთან კონსულტაციის შემდეგ უნდა დაიბრუნოს მოქმედების სრული თავისუფლება. ხოლო თუ იაპონიის მთავრობა შეუდგა ან ჰფიქრობს შეუდგეს დაწესებულ ლიმიტებზე უფრო დიდი გემების აშენებას, მაგრამ მზად არის დაუყოვნებლივ მოგვაწოდოს ცნობები ამ ხომალდების სიდიდესა და მათი ქვემეხების ყალიბზე, მაშინ ამერიკის მთავრობაც თავის მხრივ მზად არის განიხილოს მასთან ეს საკითხი, რათა იაპონიამ შესძლოს შეუერთდეს ხელშეკრულებას, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი მზად არის ამჟამად დათანხმდეს ზოგიერთ შეზღუდვაზე. საჭიროა, ასეთი მოლაპარაკება დამთავრდეს 1 მაისამდე.

(ლონდონის საზღვაო ხელშეკრულების ესკალატორული მუხლი უფლებას აძლევს მის თვითეულ მონაწილეს გადააჭარბოს ხელშეკრულების ლიმიტებს იმაზე შითითებით, რომ მის ინტერესებს ემუქრება იმ ქვეყნის გაძლიერებული სამხედრო-საზღვაო მშენებლობა, რომელიც ამ ხელშეკრულებაში არ ღებულობს მონაწილეობას.)

ინგლისის მთავრობის მკაცრი ნოტა გენერალ ფრანკოსადმი

ლონდონი, 7 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, მინისტრთა კაბინეტის სხდომის შემდეგ ინგლისის მთავრობამ გენერალ ფრანკოს გაუგზავნა მკაცრი ნოტა იმის გამო, რომ მეორდება პირატული თავდასხმანი ინგლისის გემებზე. თუმცა, ამბობს სააგენტო, ნოტის ტექსტი არ გამოქვეყნდება პრესაში მანამ, სანამ იდენი არ გამოვა თემთა პალატაში განცხადებით ამ საკითხზე, ჰფიქრობენ, რომ ინგლისის მთავრობამ ნოტაში ნათლად აღნიშნა, რომ შემდეგში შეუძლებელია ასეთ პირატულ მოქმედებათა მოთმენა.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი, 7 თებერვალი (საკდესი). 5 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. კ. ბარიგიანი საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. თაფლაშვილი.

პლენუმმა საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა ამხანაგები ა. თაფლაშვილი, ი. დვალი, თ. ზელენკოვი და ვ. მელიაკოვა.

ლონისძიებანი გმირ პაპანინელთა გადმოსაყვანად

გეზი კუნძულ იან-მაიენისაკენ

„ტაიმირი“, 5 თებერვალი (საკდესის სპეციკორის რადიო). მივდივართ კუნძულ იან-მაიენის მიმართულებით. ძლიერი ოკეანური ღელვისა და დასავლეთის თოვლიანი გრიგალისებური ქარის გამო, რომელიც 10 ბალამდე აღწევს, გავდივართ ორ საზღვაო კვანძს. გემის დახრილობა ზოგჯერ 40 გრადუსს აღწევს.

გემზე ყველაფერი რიგზეა. შუადღისას ვიყავით ჩრდილოეთი განედის 71 გრადუსსა და 17 წუთზე და აღმოსავლეთი გრძედის 23 გრადუსსა და 27 წუთზე.

„ტაიმირის“ ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი.

ამინდი გრენლანდიის ზღვაში

მოსკოვი, 6 თებერვალი (საკდესი). ამინდის ცენტრალური ინსტიტუტის ცნობებით, მიგ-ბუხტის რაიონში, გრენლანდიის აღმოსავლეთ ნაპირზე, 6 თებერვალს 13 საათზე მოღრუბლული იყო. მიგ-ბუხტში სუსტად თოვდა და ჰქროდა ჩრდილოეთის სამბალიანი ქარი; ჰაერის ტემპერატურა იყო მინუს 9 გრადუსი. მეტეოროლოგიური ცნობებით 16 საათისათვის მიგ-ბუხტის რაიონში ჩრდილოეთის ქარი 5 ბალამდე გაძლიერდა; ჰაერის ტემპერატურა უცვლელი დარჩა.

იან-მაიერის კუნძული გუშინ დაფარული იყო ხშირი ღრუბლებით. 13 საათზე კუნძულზე სუსტად თოვდა და ჰქროდა ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის ქარი, რომლის ძალა 7 ბალს აღწევდა. ჰაერის ტემპერატურა იყო მინუს 4 გრადუსი. მიღებული ცნობებით 16 საათისათვის იან-მაიენზე წინანდელი ძალით ჰქროდა იგივე ქარი. ჰაერის ტემპერატურა დავიდა ყინვის ხუთ გრადუსამდე.

ამინდის ცენტრალური ინსტიტუტის ცნობებით 7 თებერვალს მიგ-ბუხტის და იან-მაიენის კუნძულის რაიონში მოსალოდნელია ჩრდილოეთის ან ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, შესაძლოა ხანგამოშვებით თოვლიც მოვიდეს.

„ტაიმირი“, 6 თებერვალი. 1 საათი და 40 წუთი (საკდესის სპეც. კორ. რადიო). წავაწყდით სასტიკ ქარიშხალს. ტალღა ზოგჯერ კაპიტნის ბოგირზე ისვრის წყალს. გემი ძალზე ქანაობს, მაგრამ ტვირთი წესრიგშია. „ტაიმირი“ საუცხოოდ ადის წყლის გორებზე მეზღვაურთა აღტაცების შეძახილებით: „ყოჩაღ, ჩვენო ბებერო!“.

ჯერჯერობით დრეიფში ვიმყოფებით.

„ტაიმირის“ ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი.

„ერმაკი“ ემზადება ზღვაში გასასვლელად

ლენინგრადი, 5 თებერვალი (საკდესი). სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა ყინულმჭრელ „ერმაკის“ მოსამზადებლად ზღვაში გასვლისათვის. ამჟამად ტექნიკურ და მატერიალურ მოწყობილობას, აგრეთვე სურსათ-სანოვაგეს, რომელიც დანიშნულია „ერმაკის“ ექსპედიციისათვის, თავს უყრიან სავაჭრო ნავსადგურის ერთ-ერთ საწყობში. 6 თებერვალს საღამოთი მთელი მატერიალური ნაწილი დაიტვირთება ნავსადგურის ყინულმჭრელებზე „ოქტიაბრზე“ და „ტრუვორზე“, რომელნიც ამ ტვირთს მიიტანებენ „ერმაკზე“. „ერმაკის“ ექსპედიცია მომზადებულ იქნება ყოველგვარი სახის სურსათ-სანოვაგით: ფქვილით, ხორცით, ახალი გამხმარი ბოსტნეულით, ხილით, ლიმონთი, ფორთოხლით, სურავანდის საწინააღმდეგო კონცენტრატებით და სხვ.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე

ამხ. პაპანინის რადიოგრამები

უკანასკნელ დღეღამეთა განმავლობაში, ე. ი. 4 თებერვლის 12 საათიდან მოსკოვის დროით 5 თებერვლის დღის ბოლომდე „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურსა და გემ „მურმანეცის“ რადიოკავშირი ხმელეთთან დარღვეული იყო. ამის მიზეზი იყო ძლიერი მაგნიტური შერყევა.

5 თებერვალს დღის ბოლოს რადიოკავშირი აღდგენილ იქნა. მოსკოვში „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურიდან მიღებულ იქნა ახალი რადიოგრამები. დიუალავად ებრძვის რა ვერაგი არქტიკის მკაცრ ბუნებას, საბჭოთა პოლარელ მკვლევართა უშიშარი ოთხეული განაგრძობს მეცნიერულ დაკვირვებებს.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურიდან მოსკოვში მიღებულია შემდეგი ოთხი რადიოგრამა:

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგური. 5 თებერვალი. 0 საათი. განედი 74 გრადუსი და 3 წუთი, გრძედი 16 გრადუსი და 30 წუთი. წნევა 987,9 მილიბარი, მომატება 1,2 მილიბარით, ტემპერატურა მინუს 12 გრადუსი. 6-ბალიანი აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი. თოვლი.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგური. 5 თებერვალი. 6 საათი. კოორდინატები წინანდელია. წნევა 992,3 მილიბარი, მომატება 0,6 მილიბარით. ტემპერატურა მინუს 12 გრადუსი. 7-ბალიანი ჩრდილო-ჩრდილო - აღმოსავლეთის ქარი. თოვლი.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგური. 5 თებერვალი. 12 საათი. კოორდინატები წინანდელია. წნევა 996,6 მილიბარი. მომატება 1,8 მილიბარით. ტემპერატურა მინუს 12 გრადუსი, 7-ბალიანი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი. თოვლი.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგური. 5 თებერვალი. 18 საათი. ჩრდილოეთი განედის 74 გრადუსი და 3 წუთი, დასავლეთი გრძედის 16 გრადუსი და 30 წუთი. მთლიანი ღრუბლიანობა, მოდის ძლიერი თოვლი, 7 ბალიანი ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა მინუს 13 გრადუსი. წნევა 998,9 მილიბარი.

5 თებერვალს დღის ბოლოს მოსკოვში მიღებულ იქნა რადიოგრამა აგრეთვე გემ „მურმანეცის“ კაპიტნის ამხ. ულიანოვისაგან. 4 თებერვალს შუადამისას „მურმანეცი“ იმყოფებოდა ჩრდილოეთი განედის 70 გრადუსსა და 38 წუთზე და დასავლეთი გრძედის 8 გრადუსსა და 20 წუთზე. შემდეგ ამხ. ულიანოვი იუწყება: „ქარი 5-ბალიანი ნორდოსტი, ტემპერატურა მინუს 8 გრადუსი. ყინულის ზოლოვანი დასკდომა, მსხვილი ნამტვრევის ალაგალაგ რგოლისებრი განლაგება, არ გვაძლევს ფორსირების საშუალებას. გვიხდება დაუსრულებლივ ტრიალი და შემოვლა, განსაკუთრებით ღამით. გადავწყვიტეთ ვსინჯოთ იან-მაიენის ნორდ-ვესტის მხრიდან და შემდეგ გავემართოთ გრენლანდიისაკენ“. (საკდესი).

რადიოგრამა პაპანინის ბანაკიდან

ელვა, ლენინგრადი, ლენინგრადის ჩრდილოეთის საზღვაო გზა, შმიდტს.

ყინული შემჭიდროდა 10 ბალამდე. დროდადრო დგება ყინულის გორები. მთელი ბანაკი მომზადებულია მარხილებით გადასვლისათვის. ყინულები სწრაფად ირევიან ერთმანეთში. ექვსში ღამის

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დაფინანსების წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მტს-ების ფინანსიური მეურნეობის არსებული ორგანიზაცია არ არის დამაკმაყოფილებელი და ვერ უპასუხებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემდგომი განმტკიცების ამოცანებს.

დაფინანსების წყაროების სიმრავლე, დაკრედიტების ორი სახე, გარდა ამისა, ნატურანაზღაურების აღება და ფულის შემოსვლა კოლმეურნეობებისაგან და მისი განხორციელების რთული ტექნიკა ჰქმნიდნენ პირობებს მტს-ების ფინანსების აბნევისათვის, რის შედეგად იქმნებოდა დავალიანება ხელფასის ხაზით, ხდებოდა სახელმწიფო სახსრების და საფინანსო დავალიანების გაყინვა.

კონტროლისა და აღრიცხვის უქონლობა მტს-ების ფინანსიურ მეურნეობაში ხელს უწყობდა სახელმწიფო სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვას და ბევრ შემთხვევაში ჰქმნიდა პირობებს მათი განიავებისათვის.

მტს-ების ფინანსიური მეურნეობის ძირფესვიანად გაჯანსაღების, მტს-ების მთელი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების და საკოლმეურნეო მშენებლობაში სამეწყობმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელი როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ინტერესებისათვის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ, დაწყებული, 1938 წლის 1 იანვრიდან, მტს-ების ყველა ხარჯის დაფინანსება მთლიანად ხორციელდება სახელმწიფო საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე მტს-ების ხარჯთაღრიცხვებით.

მტს-ები წლიური ხარჯთაღრიცხვების შედგენისას ხელმძღვანელობენ წლიური მაჩვენებლებითა და დაფინანსების ლიმიტებით, რომლებსაც მათთვის აწესებენ რესპუბლიკების მიწსახკომები, სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებები.

უკანასკნელნი ამასთან გამოდიან სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ რესპუბლიკისა, მხარისა, ოლქისათვის დამტკიცებული ლიმიტების მაჩვენებლებიდან, რომელთა ფარგლებშიც ამტკიცებენ ცალკეულ მტს-ების ხარჯთაღრიცხვებს.

ხარჯთაღრიცხვებს ადგენენ და ამტკიცებენ ნახევარწლებად დაყოფით.

დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები წარედგინებათ სამხარეო (საოლქო) ფინგანყოფილებებს, რომელნიც, თუ ეს ხარჯთაღრიცხვები შეესაბამებიან ლიმიტებსა და საწარმოო მაჩვენებლებს, მტს-ებისათვის ხსნიან დაფინანსებას.

2. მტს-ების ყველა ხარჯის დაფინანსება, გარდა კაპიტალდაბანდებათა, ხორციელდება სახელმწიფო ბანკის საშუალებით. თვითეული სახის ხარჯისათვის (საწვავი მასალა, რემონტი, წარმოების მუშათა ხელფასი, მტს-ების აპარატის ხელფასი და სხვა ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები) იხსნება ცალკეული მიზნობრივი საბიუჯეტო ანგარიში, საიდანაც სახსრებს იძლევა სახელმწიფო ბანკი თვითეული საწარმოსათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში დამნაშავენი, აგრეთვე სახსრების არასწორ გაცემაში დამნაშავენი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

3. იმის შემოწმებას, გამოყენებულია თუ არა საბიუჯეტო სახსრები დანიშნულებისამებრ და შეესაბამება თუ არა საწარმოო ხარჯები შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, ანხორციელებენ რესპუბლიკათა მიწსახკომები, სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებანი და სახელმწიფო ბანკის განყოფილებანი საბუხჰალტრო და ოპერატიული ანგარიშგების საფუძველზე.

4. იმ რესპუბლიკათა ფინსახკომები, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, საოლქო და სამხარეო ფინანსიური განყოფილებანი ან მათი დავალებით რაიონული ფინანსიური განყოფილებანი საბიუჯეტო სახსრების გამოყენების სისწორეს ამოწმებენ მტს-ების გამოკრეფითი გამოკვლევისა და დოკუმენტური რევიზიის გზით.

5. მტკიცე ფინანსიური დისციპლინისა და მტს-ებისათვის გაცემული სახსრების ხარჯვის კონტროლის დაწესებისათვის დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს მოაწყოს ინსპექტორ-რევიზორთა ჯგუფი იმ ანგარიშით, რომ თითო ინსპექტორ-რევიზორი მოდიოდეს საშუალოდ 40—60 მტს-ზე.

სსრ კავშირის მიწსახკომის ინსპექტორ-რევიზორთა აპარატის ხელფასი დაწესდეს იმ დონეზე, რომელიც მიღებულია საფინანსო-საბანკო მუშაკთათვის, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 11 თებერვლის დადგენილებისა № 271.

6. მტს-ების დაფინანსების საქმეში სახელმწიფო ბანკის საკონტროლო ფუნქციათა გაძლიერებასთან დაკავშირებით მოიწყოს სახელმწიფო ბანკის გამგეობაში მტს-ების დაფინანსების სამმართველო, ამავე დროს გადიდდეს სახელმწიფო ბანკის საოლქო და სამხარეო კანტორათა და რაიონულ განყოფილებათა შტატები ინსპექტორებითა და ოპერატიული მუშაკებით მტს-ების დაფინანსებისათვის კონტროლის გასაწევად.

შტატების გადიდება საოლქო და სამხარეო კანტორებში მოხდეს სახელმწიფო ბანკის შტატების ფარგლებში.

7. თუ გამოვლინებული იქნება სახსრების გადახარჯვა მიწსახკომის მიერ ამათუმ სახის ხარჯისათვის დამტკიცებულ სახსრებთან შედარებით, სახელმწიფო ბანკის გახყოფილება მტს-ს აძლევს ათი დღის ვადას გადახარჯვის დასაფარავად და დაუყოვნებლივ აცნობებს ამას სახელმწიფო ბანკის საოლქო კანტორას და რესპუბლიკის მიწსახკომს, სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებას არ მიიღებენ ზომებს გამოვლენილი გადახარჯვების დასაფარად, სახელმწიფო ბანკი შეღავათიანი ვადის გავლის შემდეგ სწყვეტს მტს-ის დაფინანსებას, რომელიც შეიძლება განახლდეს მხოლოდ იმ რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ნებართვით, რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა, ან სამხარეო (საოლქო) აღმასკომის ნებართვით.

8. მტს-ების სამუშაოებში კოლმეურნეობებისაგან კუთვნილი გასამრჯელო (ნატურა და ფული) მთლიანად შედის სახელმწიფო შემოსავალში. მტს-ის დირექტორი პასუხს აგებს დროული დარიცხვისა, ანგარიშების გადაცემისა და კოლმეურნეთა მიერ ნატურანაზღაურების ჩაბარებისათვის.

9. მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით დაწესდეს წახალისების შემდეგი სახეები:

ა) პრემია ტრაქტორების სამუშაოთა და გალეწვის გეგმის შესრულებისათვის და ორმაგი პრემია მისი გადაჭარბებით შესრულებისათვის;

ბ) დარიცხვა კოლმეურნეობათა მიერ ჩაბარებული ნატურანაზღაურების თვითეული ცენტნერიდან;

გ) გეგმის შესრულებისას პრემია დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში მიღწეული ეკონომიისათვის ამ ეკონომიის 75 პროცენტის რაოდენობით.

დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს წარუდგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად წინადადებანი დარიცხვებისა და პრემიების ოდენობის შესახებ.

10. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს გამოჰყოს მტს-ებიდან საბარგო ავტოპარკი, მტს-ების სამეურნეო-ტექნიკური მომსახურებისათვის საჭირო მანქანების გამოკლებით, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დამოუკიდებელ ავტოკოლონებად და გაერთიანოს ისინი საოლქო დაყოფის არამქონე რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში ტრესტებად, რომელნიც ექვემდებარებიან სსრ კავშირის მიწსახკომს, რესპუბლიკათა მიწსახკომების და სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებების საშუალებით.

11. გამოიყოს დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე კაპიტალური რემონტის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოები და დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს დაამტკიცოს სსრ კავშირის მიწსახკომის წარდგენით ამ სახელოსნოების სია.

12. დამტკიცებულ იქნას დებულება სახელმწიფო ბიუჯეტით მტს-ების დაფინანსების წესის შესახებ.

13. გაუქმდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 29 იანვრის დადგენილება № 174 იმ ნაწილში, რომელიც ეხება მტს-ების დაფინანსებისა და დაკრედიტების წესს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი — ნ. პეტრუნიჩევი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 5 თებერვალი.

პარტიულ თემაზე

ცილისმწამებლებს პასუხი უნდა მოეთხოვოს

ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის პარტორგანიზაციაში უდიდესი აღფრთოვანებით იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას — „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“.

ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის დახურულ კრებაზე სწარმოებს პლენუმის დადგენილების წაკითხვა და განხილვა.

კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის დადგენილებას, პარტიის წევრები ამეღავნებენ ცალკეულ კარიერისტ-კომუნისტებს, რომლებიც სთითხნიდნენ ცილისმწამებლურ განცხადებებს პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ.

ორჯონიკიძის რაიონმასკომთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე სასტიკად გააკრიტიკეს პარტიის წევრი პავლე ფერაძე, რომელიც ცილს სწამებდა კომუნისტებს. ფერაძემ შეიტანა განცხადება პარტიის წევრ დიმიტრი დუდუჩავას წინააღმდეგ, თითქოს იგი ეწეოდა ანტიპარტიულ ლაყბობას.

ყოველივე ამის გამო პარტიულმა მასამ დუდუჩავას პოლიტიკური უნდობლობა გამოუცხადა. პარტიულმა ორგანიზაციამ გულდასმით შეამოწმა დუდუჩავას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. გამოირკვა, რომ დუდუჩავას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ცილისწამებას შეიცავდა. ასევე ყალბი აღმოჩნდა დუდუჩავას წინააღმდეგ წაყენებული სხვა ბრალდებებიც, რომლებიც ფერაძემ და მისმა მსგავსმა ადამიანებმა შესთხზეს.

პავლე ფერაძე გაიწრთვნა ყალბი განცხადებების წერაში. მან მეორე განცხადება შეიტანა რაიკომში იმის შესახებ, თითქოს წიფის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ილია ბანცაძე ეწევა ანტიპარტიულ ლაყბობას. ფერაძის გავლენით ასეთივე განცხადება შეიტანა ბანცაძის წინააღმდეგ პარტკანდიდატმა გრიგოლ კელენჯერიძემ. ფერაძემ თავისი განცხადების დასასაბუთებლად ყოველგვარი მითითების გარეშე მოახდინა დაკითხვები, და „მასალები“ რაიკომში წარადგინა. შემოწმებამ გამოარკვია, რომ ბანცაძე უდანაშაულოა, ხოლო ფერაძე — ცილისმწამებელი.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ქარაფშუტულად ეკიდება პარტიიდან კომუნისტების გარიცხვას. შინსახკომის ორჯონიკიძის რაიგანყოფილებასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიიდან უსაფუძვლოდ გარიცხა პარტკანდიდატი ლეონინა არღუნაშვილი. მას ბრალი დასდეს იმაში, რომ ცოლად გაჰყვა არჩილ ლომსაძეს, რომელიც მაშინ კომკავშირელი იყო, ხოლო შემდეგ გარიცხეს კომკავშირის რიგებიდან სხვადასხვა ბრალდებებით. ამჟამად კი ლომსაძე აქტიურად მუშაობს კოლმეურნეობაში.

ამავე პარტორგანიზაციამ დანაშაულებრივ - ქარაფშუტული დამოკიდებულება გამოიჩინა პარტიის წევრთა ბედიღლისადმი და პარტიიდან ხელაღებით გარიცხა პარტკანდიდატი ა. გვალია. მას ბრალი დასდეს იმაში, თითქო მან პარტკანდიდატად მიღების დროს დაფარა თავისი წარსული. გამორკვევამ დაადასტურა რომ ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია.

მსგავს შეცდომებს ადგილი ჰქონდა კომკავშირის ორგანიზაციაშიაც. ასე, მაგალითად, რაიაღმასკომის აღრიცხვის უბნის ინსპექტორი ვალ. ციცქიშვილი გარიცხეს კომკავშირიდან და მოხსნეს სამუშაოდან იმის გამო, რომ მისი ძმა დაჰაპტიმრეს. ხოლო, როდესაც მისი ძმა გაამართლეს, ვალ. ციცქიშვილიც აღდგინეს პარტიის რიგებში, მაგრამ სამსახურში იგი ჯერაც არ არის აღდგენილი.

საკ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომს ჯერ არცერთი ის ცილისმწამებელი არ დაუსჯია, რომლებიც სთითხნიდნენ განცხადებებს პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ. პარტიის რაიკომმა სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში უნდა მისცეს კარიერისტები, რომლებიც თავისი ბინძური საქციელით ეშვის ქვეშ აყენებდნენ პატიოსან კომუნისტებს.

დავ. გაბრიაძე

დაშვებულ შეცდომებს ასწორებენ

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულ დამახინჯებათა მსგავსი ფაქტები, ხალხის საზიზღარი მტრების მიერ ჩადენილი, ქუთაისის რაიონის პარტორგანიზაციაშიც გამომჟღავნდა. მაგალითად, ბარიტის ქარხნის პარტორგანიზაციის კრებაზე გამომჟღავნდა პარტიიდან კომუნისტების ხელაღებითი, მოუფიქრებელი და დაუსაბუთებელი გარიცხვის მრავალი ფაქტი. ნ. გენძეხაძემ განაცხადა, რომ მოუფიქრებლად და ხელაღებით გარიცხეს პარტიიდან ქარხნის მეწისქვილე ილიკო აბდალაძე, როგორც „პასიური“. სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს, რომ ამხ. აბდალაძე პოლიტმეცადინეობას ზოგჯერ აცდენდა, მაგრამ ამაში დამნაშავე იყვნენ წარმოების ხელმძღვანელნი, რომლებიც მეცადინეობისას მას სამუშაოდან არ ანთავისუფლებდნენ. ეს მდგომარეობა არავის შეუსწავლია, ისე ხელაღებით გარიცხეს აბდალაძე პარტიიდან. ყოფილი პარტორგანიზატორის სირბილაძის დაჟინებითი მოთხოვნით ასევე მექანიკურად გარიცხეს პარტკანდიდატი, მტვირთავი მუშა ამხ. კ. მატასოვი. მისი გარიცხვა საქალაქო კომიტეტმაც (როცა იქ ხელმძღვანელად ამჟამად გამომჟღავნებული მტერი თარეშობდა) დაადასტურა.

პარტკანდიდატ ვლადიმერ გრინჩენკოს სხვა დოკუმენტებთან ერთად საკანდიდატო ბილეთიც ეჭირა. მან რამდენჯერმე მიმართა საქალაქო კომიტეტს განცხადებით, მაგრამ ამაოდ. პარტდოკუმენტების შემოწმებისას ხალხის მტრებმა იგი შემოწმებაზე არ დაუშვეს და პარტიის რიგების გარეშე დასტოვეს.

პლენუმის შედეგების განხილვისას მსგავს ფაქტებზე ლაპარაკობდნენ შუშის ქარხნის პარტორგანიზაციაშიაც, აღნიშნავდნენ, რომ ყოფილმა პარტორგმა კორძაძემ დაუსაბუთებლად და ხელაღებით გარიცხა პარტიიდან ქარხნის დარაჯი ლუკა მერკვილაძე, რომელიც ამავე დროს წარმოებიდანაც მოხსნეს. ხელაღებით გარიცხეს აგრეთვე მოზაიკის ქარხნის მუშა ჩიტეიშვილი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების განხილვა-შესწავლას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სოფლისა და ქალაქის სხვა პარტორგანიზაციებმაც. პროპაგანდისტები და აგიტატორები ენერგიულად მუშაობენ ამ საქმეზე. პლენუმის დადგენილების დამუშავებასთან ერთად ქუთაისის პარტორგანიზაციებში ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

ეგ. გვასალია

ცილისმწამებლებს პარტიულ პასუხისგებაში აძახებენ

მოსკოვი, 6 თებერვალი (საკ. დისი). ასრულებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადწყვეტილებებს, მოსკოვის მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს. საკ. კ. პ. (ბ) რაიკომთან მუშაობს 20 პარტგამომძიებელი — რაიკომის პლენუმის წევრები და პარტკომების მდივნები. ამ ამხანაგების დახმარებით რაიონული კომიტეტის ბიურომ უკვე განიხილა 45 აპელაცია, რომლებიც აღებულია გადასასინჯად საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტიდან და მოსკოვის ოლქის პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიიდან. 40 განცხადების მიხედვით შეცვლილია პარტიული სასჯელის ზომა.

იმ მომენტისათვის, როდესაც გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისა და პარტიულ სასჯელთა დადების შესახებ. ამჟამად რაიკომის ბიურომ გულმოდგინედ შეამოწმა თითქმის მთელი შემოსული მასალა. დამტკიცებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების 20-მდე გადაწყვეტილება, დანარჩენის მიხედვით მოხსნილია ან შემცირებულია პარტიული სასჯელის ზომა.

მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა უპასუხისმგებლო ფორმალურ დამოკიდებულებას პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისადმი. რაიკომის ბიურომ განსაკუთრებული გადაწყვეტილებით მისცა წინადადება მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებს პასუხისგებაში მისცენ ცილისმწამებლები, რომლებიც ჩირქს სცხებდნენ პატიოსან კომუნისტებს. პარტიულ პასუხისგებაში აძალეს შჩერბაკოვს, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციის წევრს, რომელმაც ცილისმწამებლური განცხადებანი შეიტანა პარტიის 36 წევრზე. პარტიიდან გაირიცხა მიტიასოვი (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაცია), რომელმაც შეიტანა 68 ცილისმწამებლური განცხადება.

სამუშაოზე აღდგენისას რაიონული კომიტეტი წაუწყდა ცალკეული სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგობის ფაქტებს. რაიონული კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა გაეფრთხილებინა ისინი, რომ პასუხს აგებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობისათვის.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. ე. ნ. მაზანაშვილი ფაბრიკის მუშებს უკითხავს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას.
ფოტო გიზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ერ. გურჯულაძე

რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის

ქართველი ხალხის მოღალატეების—ქართველი მენშევიკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პოლიტიკამ საქართველო მოსწყვიტა დიდი რუსეთის ხალხს და ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, განადგურებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. მენშევიკურ ჯალათთა სამი წლის სისხლიანი თარეშის შედეგად ჩვენი ქვეყანა სრულიად დაეცა ეკონომიურად და კულტურულად: დაიშალა სკოლები, შემცირდა მასწავლებელთა რიცხვი, დაიქსაქსა მასწავლებელთა კადრები, გაპარტახდა სასკოლო შენობები და ინვენტარი. სკოლების სასწავლო გეგმები და პროგრამები მენშევიკების შოვინისტური პოლიტიკის ბეჭედს ატარებდა.

მენშევიკების კაციჭამია - შოვინისტური პოლიტიკის წყალობით ნაციონალისტური წრეების გულის გასახარად და ქართველი მშრომელი ხალხის ფართო მასების სავალალოდ, რომლებიც ასე დიდად აფასებდნენ და უყვარდათ ლენინის და ტოლსტოის, პუშკინის და ტურგენევის ენა, როგორც განათლებისა და კულტურის მძლავრი იარაღი,— ამ ენის, დიადი რუსეთის ხალხის ენის სწავლება სრულიად მივიწყებულ იქნა.

1921 წლის თებერვალში ქართველი ხალხი განთავისუფლდა მენშევიკების უღლისაგან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად რუსული ენის სწავლებას სათანადო ყურადღება მიექცა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს საბჭოთა მთავრობა არაერთხელ იძლეოდნენ კონკრეტულ მითითებებს რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სასწავლებლებში (მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. 1933 წლის ოქტომბრის დადგენილება „რუსული ენის სწავლების დაყენების შესახებ საქართველოს ყველა საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში“, 1936 წლის იანვრის გადაწყვეტილება და სხვ.).

უკანასკნელ ხანებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტალინური ზრუნვისა და ხელმძღვანელობის შედეგად რუსული ენის სწავლება დიდად გაუმჯობესდა: სკოლებს მოეპოვებათ გარკვეული პროგრამები და სახელმძღვანელ.ები. სასწავლო გეგმაში შედარებით გადიდებულია რუსული ენის საათების რაოდენობა, ხოლო ამის საფუძველზე გაძლიერებულია მოთხოვნილებაც რუსული ენის სწავლების მიმართ. 1934 წლიდან სახელმწ. უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებულია რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, რომელმაც უკვე მოგვცა კვალიფიციურ მასწავლებელთა ორი გამოშვება არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩამოყალიბებულია სპეციალური კურსები და სხვ. ამჟამად რუსული ენის სწავლება იწყება მესამე კლასიდან და გრძელდება მეათე კლასამდე შემდეგი ცხრილით: მესამე კლასში 2 საათი, მეოთხეში—3, მეხუთეში—5, მეექვსეში—5, მეშვიდეში—3, მერვეში—3, მეცხრეში—3, მეათეში—3. ყველა უმაღლეს და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში რუსული ენა სავალდებულოა პირველ და მეორე კურსებზე, ხოლო ზოგიერთ ფაკულტეტზე—მესამე კურსებზედაც.

უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად ამაღლდა მასწავლებელთა ცოდნა რუსულ ენაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად, თუმცა ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში რუსული ენის სწავლება უკეთესადაა დაყენებული, ვიდრე სასოფლო სკოლებში.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლეს სკოლებში ჩატარებულმა მისაღებმა გამოცდებმა გვიჩვენეს, თუ რამდენად ამაღლდა საშუალო სკოლადამთავრებულთა რუსული ენის ცოდნის დონე. თუ განვლილ წლებში გამოცდებზე გამოცხადებულთა დიდი უმეტესობა არათუ დაუფლებული იყო რუსულ მეტყველებას, არამედ მათ უძნელდებოდათ დაბეჭდილი რუსული ტექსტის წაკითხვაც, მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდებზე გაცილებით უკეთესი სურათი იყო.

მიუხედავად ამისა, რუსული ენის სწავლების დაყენებაში ჩვენში ნაკლოვანებანი და ჩამორჩენა საკმაოდ დიდია და საქმის გამოსასწორებლად დიდი მუშაობაა საჭირო. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს სოფლის სკოლების შესახებ.

ჩამორჩენა გვაქვს მოსწავლეთა არა მარტო ზეპირი, არამედ წერითი მეტყველების მხრივაც. ზოგი ცუდადაა დაუფლებული რუსული წერის ტექნიკას: ცუდად გამოჰყავთ ცალკეული ასოები, სწერენ უსწორმასწოროდ, წყვეტლად. უგულებელყოფილია კალიგრაფიის ელემენტარული წესები. ჩვენი სკოლების მოსწავლენი მოიკოჭლებენ რუსულ ორთოგრაფიაშიაც. ქართული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამებით წაყენებულ მოთხოვნილებებს მომზადების მხრივ. მოსწავლეთა რვეულები ხშირად აჭრელებულია ასეთი შემცდარი სიტყვებით, როგორც მაგალითად, «Малчик», «болшой», «ето», «назик», «сол», „лиубит“ და სხვ.

მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები ხშირად აღსავსეა უხეში სტილისტური შეცდომებით. უმრავლეს შემთხვევებში მოსწავლეთა წერითს მეტყველებას აკლია სისწორე, გარკვეულობა და სიზუსტე, რომ არაფერი ითქვას წერითი მეტყველების მხატვრულ ღირსებებზე. ჩვენი მოსწავლის წერითს შრომებში ხშირად გვხვდება შეცდომები სიტყვების შეთანხმებისას, როგორც რიცხვში და ბრუნვაში, ისე სქესის მიხედვით. ამ შეცდომებს განსაზღვრავს მშობლიური ენის ბუნების თავისუფლება, სადაც უცხოა სიტყვების განსხვავება სქესის მიხედვით და აქედანვე გამომდინარეობს მისი შეთვისების ერთგვარი სიძნელე.

ასეთი და სხვა მსგავსი სპეციფიკურობანი მოითხოვენ ჩვენი მასწავლებლისაგან მეტად დაკვირვებულ და გაძლიერებულ მუშაობას მათი დაძლევისათვის.

მაშასადამე, აქ საქმე რუსული ენის მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრების საკითხს ეხება.

ტროკიკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მახინჯები ყოველგვარად ცდილობდნენ მოეწყვიტათ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ახალგაზრდობა დიდი რუსულ კულტურისაგან. ამ მიზნით მათ გადასწყვიტეს გაეუქმებინათ რუსული ენის სწავლება სკოლებში. ისინი გვერდს უვლიდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, უარჰყოფდნენ და შლიდნენ რუსული ენის მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების საქმეს.

რუსული ენის გაკვეთილების მცირე რაოდენობა შეუძლებელს ხდის დაწყებითი სკოლების კლასებში სპეციალური მასწავლებლის მიმაგრებას. ამით აიხსნება, რომ უმრავლეს შემთხვევებში რუსული ენის სწავლება დაწყებითს სკოლაში მინდობილი აქვს კლასის ხელმძღვანელს, ან სხვა საგნის მასწავლებელს, ხოლო ასეთები ენის სწავლების მეცნიერული მომზადების უქონლობის გამო ვერ ახერხებენ ამ საპასუხისმგებლო ამოცანის დაძლევას.

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს არაქართულ სასწავლებლებში, როგორც, მაგალითად, სომხურ, აზერბაიჯანულ, გერმანულ და სხვა სკოლებშიაც, რომელნიც საქართველოს განსახკომის უწყებაში იმყოფებიან. არაქართულ სკოლაში ისწავლება მშობლიური ენა, ქართული ენა, რუსული ენა და უცხო ენა, ე. ი. ქართულ სკოლებზე ერთი ენით მეტი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არაქართულ სკოლებში რუსულ ენას დათმობილი აქვს საათების გაცილებით ნაკლები რაოდენობა. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კადრებით უზრუნველყოფის მხრივ არაქართულ სკოლებში არა გვაქვს ქართულ სკოლაზე უკეთესი მდგომარეობა, აქედან ნათელი იქნება, რატომაა, რომ ამ სკოლებში რუსული ენის სწავლება კიდევ უფრო დაბლა დგას.

განსაკუთრებული მდგომარეობა გვაქვს რუსული ენის სწავლებაში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება იწყება მეორე კლასიდან, ხოლო უფროს კლასებში (აფხაზეთის სკოლებში მეხუთე კლასიდან, სამხრეთ-ოსეთისა—მერვიდან) ყველა დისციპლინის წაკითხვა უკვე რუსულ ენაზე მიმდინარეობს. აქედან გასაგებია, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის დონე რუსულ ენაში გაცილებით მაღლა დგას და ხშირად რუსულ სკოლებში არსებულ დონესაც არ ჩამოუვარდება.

რუსული ენითა და რუსული ლიტერატურით ახალგაზრდობის ცხოველ დაინტერესებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად იზრდება ახალგაზრდობის მისწრაფება სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე შესასვლელად.

არა გვაქვს ნორმალური მდგომარეობა სკოლების სახელმძღვანელოებით და დამხმარე ლიტერატურით მომარაგების, სასწავლო გეგმებსა და პროგრამების დამუშავების საქმეში. ეს უკანასკნელი დამუშავებულია კუსტარულად საქართველოს განსახკომის მიერ, რაც ოდნავ ვერ აკმაყოფილებს რუსული ენის სწავლების ჯეროვნად დაყენების ამოცანებს. რუსული ენის სახელმძღვანელო და რუსული ლიტერატურის ქრესტომათიები ქართული კლასებისათვის აგრეთვე დიდად ჩამორჩება გაზრდილ მოთხოვნილებას. ენის სახელმძღვანელო და ქრესტომათიაც ატარებს „კუსტარობის“ ბეჭედს და მოიკოჭლებს პედაგოგიურ-მეცნიერული აღნაგობის მხრივ. რუსული სკოლებიც კი საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არიან წიგნებით, რადგან მათთვის სახელმძღვანელოები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო საგნები რსფსრ-დან იგზავნება, ხოლო მათი საკმაო რაოდენობით და თავის დროზე მიღება სრულიად მოუწესრიგებელია.

საერთოდ, საჭიროა პირდაპირ ითქვას, რომ რუსული ენის სწავლების არსებული დონე და ხარისხი ჩვენს სკოლებში ვერ უპასუხებს იმ უდიდეს პოლიტიკურ და კულტურულ ამოცანებს, რომლებსაც სტალინური მზრუნველობით გამთბარი საქართველოს ბედნიერი ხალხი ჩვენ გვიყენებს. მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლა უდიდესი მნიშვნელობის საკითხია. რუსული ენა მძლავრი იარაღია დიდ რუსულ კულტურასთან ნაკიონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელთა დასაკავშირებლად, იგი საუკეთესო საშუალებაა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხების მჭიდრო ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

რუსული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს არსებული სასწავლო გეგმის საგნობრივი ბადის გადასინჯვა დაწყებითი სკოლების თვით პირველი კლასიდან ვიდრე მეათე კლასებამდე, ჩათვლით.

რუსული ენისათვის ამჟამად განკუთვნილი საათების რაოდენობა გადიდებას ითხოვს.

**მეორე მთავარი საკითხი რუსული ენის მცოდნე, კვალიფიციურ კადრებს ეხება. სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილება მინიმალურადაც ვერ ფარავს მოთხოვნილებას კადრებზე. საჭიროა

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

კომკავშირული საქემონტო ბრიგადები კოლმეურნეობებში

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან).

მახარაძის რაიონის კომკავშირის ორგანიზაცია საგაზაფხულო თესვის მზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. კომკავშირის რაიკომმა და პირველადმა ორგანიზაციებმა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე შეიმუშავეს თესვის მზადებაში მონაწილეობის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებსაც ამჟამად პრაქტიკულად ანხორციელებენ.

აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნისა და ხელოსანთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის მონაწილეობით გამოჰყვეს საქემონტო ბრიგადები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს იარაღ-მანქანების შეკეთებაში.

ხელოსანთა კომკავშირული ორგანიზაციის მიერ გამოყოფილმა საქემონტო ბრიგადამ, რომელშიაც შედიოდნენ ამხ. ვასო გოგიბერიძე, პროკოფი ქერქაძე, კონდრატე კალანდაძე, პარმენ ფოცხიშვილი, სერგო ხელაძე და მიშა სალუქვაძე, შემოქმედის კოლმეურნეობას სამი დღის განმავლობაში შეუკეთა 247 ცალი სხვადასხვა იარაღ-მანქანა. მათ შორის 11 კულტივატორი, 120 სახნისი, 55 თოხი და წერაქვი და სხვ.

ამავე ბრიგადამ უსასყიდლოდ შეუკეთა მაკვანეთის კოლმეურნეობას 101 ცალი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ინვენტარი, ნიბა-ურის კოლმეურნეობას—147, ლიხაურისას—237 და სხვ.

ამოძრავდნენ „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფები. ბევრგან მათ უკვე ჩაატარეს თესვისათვის მზადების მასობრივი შემოწმება. ნაგომარში „მსუბუქმა კავალერიამ“ გამოიკვლია, რომ სათესლე მასალა არ იყო გაწმენდილი და გადარჩეული. იარაღ-მანქანები ცუდად იყო მოვლილი და მათ შეკეთება ესაჭიროებოდა, მუშა-პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე არ ჰყავდათ გადაყვანილი და სხვ. კომკავშირის ორგანიზაციამ ეს საკითხი დასვა კოლმეურნეობის გამგეობაში და აქტიური მონაწილეობა მიიღო არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. ახლა აქ სათესლე მასალა გადარჩეული და გაწმენდილია, სუსტი მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. მთავრდება იარაღ-მანქანების რემონტიც.

მაგრამ ყველგან ასე როდი ხდება. რაიონში არის კომკავშირის ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთა მუშაობა თესვის მზადებაში ჯერ ქაღალდებსა და წყალწყალა დადგენილებებს არ გასცილებია. ასეთია, მაგალითად, შუა-ბახვის კოლმეურნეობასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაცია. 28 იანვარს იქ ჩავიდა საქემონტო ბრიგადა აბრეშუმის ქარხნის მუშა კომკავშირელთა მონაწილეობით. ბრიგადა დროზე არ მოამარაგეს ნახშირით, არ მიუტანეს მას შესაკეთებელი იარაღ-მანქანები. ამის გამო ოთხ დღეში ბრიგადამ 15 კულტივატორი და 2 გუთანი შეაკეთა, ხელის შეწყობით კი შეეძლო ორჯერ მეტი გაეკეთებინა.

კომკავშირის „მსუბუქმა კავალერიამ“ შუა-ბახვის კოლმეურნეობაში შეამოწმა თესვის მზადების მიმდინარეობა. გამოაშკარავდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი (მუშა-პირუტყვის ცუდად მოვლა, კონცენტრირებული და უხეში საკვების უქონლობა, ბოსტნეულის თესლით მოუმარაგებლობა და სხვ.)., მაგრამ კომკავშირის ორგანიზაციას პრაქტიკულად ჯერ თითქმის არაფერი გაუკეთებია ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სოფ. ჭალის კოლმეურნეობას ჯერაც არ დაუწყია ჩაისათვის ნიადაგის მომზადება, პლანტაციების გადაბარვა და სასუქების შეტანა. კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია კი გულხელდაკრეფილი შესცქერის ამ მდგომარეობას.

მახარაძის რაიონის წინაწე წელს მეტად სერიოზული ამოცანები დგას, რომელთა წარმატებით შესრულება კომკავშირის ორგანიზაციებისაგან მოითხოვს არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებას და შემდგომში მუშაობის კიდევ უფრო უკეთესად წარმართვას.

ტ. აცანელი



ტრაქტორების რემონტი ქუთაისის მტს-ში

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ბუმბრინელები ჩაის არ უვლიან

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის რაიონის მთა ადგილებში ჩაის კულტურას მკვიდრი ნიადაგი აქვს. მშვენიერი სანახავია ფერდობზე შეფენილი ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები. თუმცა ეს პლანტაციები ჯერ კიდევ ახალია, მაგრამ უდავოდ დიდ იმედებს იძლევა. ჩაი ძვირფასი კულტურაა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ერთერთი ძირითადი წყარო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ სოფელ გუმბრინის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს (თავმჯდომარე — ამხ. ა. კოღუაშვილი). აქ გული არ შესტკივათ პლანტაციებისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჩაის კულტურას არ აფასებენ.

საერთოდ ცუდად ზოდი გამოიყურება ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციები. ისინი გადაჭიმულია რამდენიმე ათეულ ჰექტარზე. აქ შეხვდებით როგორც ერთ, ისე ორწლიან ნარგავებს და სრულმოსავლიან ბუჩქებსაც, შორიდან მართლაც კარგი შესახედავია პლანტაციები, მაგრამ სულ სხვაა, როცა ახლოს მიხვალთ, როცა თვალწინ წარმოგიდგებათ გაჩანაგებული ბუჩქები, როცა საკუთარი თვალით იხილავთ სხვადასხვა შინაური პირუტყვის ნაკვალევს, რომლითაც დასერილია მთელი პლანტაციები. ამავე კოლმეურნეობის წევრი მეველე ბ. კოღუაშვილი სრულებით არ ფიქრობს პლანტაციის მოვლაზე.

ჩაის პლანტაციები შეუღობავია, შიგ პირუტყვი თავისუფლად დადის და ჩაის ანადგურებს. ასეა, როცა კოლმეურნეობის სათავეში მოექცევიან უდარდელი და უქნარა ხელმძღვანელები. უფრო საინტერესო ისაა, იციან თუ არა ეს ამბავი ქუთაისის მტს-ისა და რაიმიწგანის ხელმძღვანელებმა?

მაღალხარისხოვანი თესლისათვის არ ზრუნავენ

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან).

თელავის რაიონში მეტად ჭიანურდება სათესლე მასალის გადაცვლა და გამოყოფილი თესლის გაწმენდა. გარდა ამისა, არც სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების რემონტს ექცევა ჯეროვანი ყურადღება. მიწგანის ცნობებით, გამოყოფილია გაზაფხულის ხორბალი — 1235 ცენტნერი, ქერი — 1341, სიმინდი — 2273, ფეტვი — 511, კარტოფილი — 585 და ლობიო — 53 ცენტნერი; მაგრამ 1235 ცენტნერი ხორბლიდან კონდიციურია მხოლოდ 339 ცენტნერი. ასევე არაკონდიციურია ქერის, ლობიოს და სიმინდის თესლი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესლის გადაცვლა არ სწარმოებს: ქვემო-ალვანის კოლმეურნეობიდან ზემო-ალვანის კოლმეურნეობამ უნდა წაიღოს 30 ცენტნერი ქერი, მაგრამ აქ ჯერ ეს საქმე არავის გახსენებია. ბევრგან სათესლე მასალა აკლიათ და არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს მის შესავსებად. ყარაჯალის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობას „სოცგზას“ 10 ცენტნერი ფეტვის თესლი აკლია; კოლმეურნეობა „კომინტერნი“ წელს კულტურულ ბალახს 10 ჰექტარზე სთესავს, რისთვისაც 14 ცენტნერი ფიგის თესლი სჭირდება. ამავე კოლმეურნეობამ უნდა დასთესოს ჭარხალი, მაგრამ თესლი არა აქვს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეგაშვილი ფიგისა და ჭარხლის თესლის შესაძენად არავითარ ზომებს არ ღებულობს.

თელავში ფიგის თესლი 700 ცენტნერამდეა საჭირო. მიწგანის ცნობით კი კოლმეურნეობებს მხოლოდ 33 ცენტნერი აქვთ.

კოლმეურნეობებში სათესლე მასალის გაწმენდა უნუგეშო მდგომარეობაშია. ამას მოწმობს თესლის კონტროლის ლაბორატორიის ცნობები: 766 ცენტნერი ქერიდან გაღივების მხრივ მოწონებულია მხოლოდ 107 ცენტნერი, დანარჩენი კი უვარგისია. ლაბორატორიამ შეამოწმა 935 ცენტნერი გაზაფხულის ხორბალი, აქედან გაღივება-სიწმინდის მხრივ მოწონებულია მხოლოდ 306 ცენტნერი. 464 ცენტნერი ქერის თესლი გაღივების მხრივ კარგია, მაგრამ გაუწმენდავია.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათესლე მასალა სრულიად უვარგისია. მაგალითად, მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში უვარგისი აღმოჩნდა 30 ცენტნერი გაზაფხულის ხორბლის თესლი, ხოლო სოფელ კისისხევის კოლმეურნეობა „სოკკარში“ 4 ცენტნერი ქერის თესლი და სხვ.

სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის ჩამორჩენა გრძელდება. 751 გუთნიდან შეკეთებულია 581; 152 ზიგზაგიდან — 120 და 51 ტრიერიდან — 46.

მართალია, ზოგიერთ კოლმეურნეობაში, როგორც მაგალითად, ქვემო-ალვანის „წითელი თუშეთი“. კონდოლის „კომუნიზმის გზა“ და რუისპირის „საამური ცხოვრება“ ყოველმხრივ მზად არიან თესვისათვის, მაგრამ თელავის რაიმიწგანისა და რაიაღმასკომის მხრით საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას ბოლშევიკური ხელმძღვანელობა აკლია. რაიაღმასკომის თავმჯდომარე ს. ძამუკაშვილი და რაიმიწგანის გამგე შ. ჩიხლაძე ჯერჯეროობით ვერ იძლევიან კოლმეურნეობების ოპერატიული ხელმძღვანელობის ნიმუშებს.

საკოღმეურნეო შრომის შედეგი

ჩოხატაური. იანეულის კოლმეურნეობა „შრომის გზის“ წევრმა ირაკლი ვაჩეიშვილმა კოლმეურნეობაში პატიოსანი შრომით მთელს სოფელში თავი ისახელა. 1936 წელს მან თავისი ოჯახის წევრებთან ერთად კოლმეურნეობაში 976 შრომადღე გამომუშავა, შარშან კი 1.488 შრომადღე.

ი. ვაჩეიშვილი კოლმეურნეობიდან ყოველწლიურად უხვ შემოსავალს ღებულობს. შარშან გამოშუშავებულ შრომადღეებზე კოლმეურნეობიდან ირაკლის ერგო 4.464 მანეთი ფულად, 3.200 კილოგრამი სიმინდი, 1.488 კილოგრამი ყურძენი, 744 ლიტრი ღვინო და სხვა პროდუქტები. კოლმეურნეობაში შესვლამდე ირაკლი ქოხში ცხოვრობდა, ახლა კი მან ორსართულიანი ოდა სახლიც აიშენა და შეძლებულად ცხოვრობს.

ბ. ციწაძე

საღ როგორ ემზადებიან

ორი კოლმეურნეობის შეჯიბრება

ბურჯაანი. სოფელ ყანდაურის 14 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობა დროულად გაიშალა. მძრალად მოხნულია 208 ჰექტარი, შეკეთებულია 16 გუთანი, 4 ცალი მწკრივად სათესი, 9 ცალი ფარცხი და სხვ. აგრეთვე მიმდინარეობს ნაკვეთების გაწმენდა ჯაგებისაგან. მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის ჩვენს კოლმეურნეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული სოფ. ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

ვ. აღუაშვილი.

იბრძვიან მაღალი მოსავლისათვის

ქასპი. სოფელ მეტეხის კოლმეურნეობამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მან შესძლო შრომადღეზე, მაგალითად, 8 კილოგრამი პურის დარიგება, ნაცვლად გასული წლების 1—2 კილოგრამისა. ეს წარმატება სტახანოვური მუშაობის შედეგია. კოლმეურნეობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნ შემდეგი სტახანოველები: ლ. პატარქალიშვილი, არ. ზუბიაშვილი, დ. ნაცვალაშვილი, გ. ბოგველი, გ. მამულაშვილი, გ. ოდოშაშვილი, არ. ზუბიაშვილი და სხვ., რომლებიც დავალებებს 250-მდე პროცენტით ასრულებენ.

კოლმეურნეობა ენერგიულად ემზადება საგაზაფხულო თესვისათვის: შეკეთებულია გუთნები, გაწმენდილია თესლი, შესრულებულია გადაცვლის საშუალებით ჯიშიანი თესლით მომარაგების გეგმა, 50 სული მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, დაგროვილია და მინდვრად გააქვთ სასუქები.

შ. აბრამაშვილი

გაიხსნა წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების მე-4 საოლქო ოლიმპიადა

7 თებერვალს, საღამოს, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიხსნა წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების მე-4 საოლქო ოლიმპიადა, მიძღვნილი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი 20 წლისთავისადმი.

ოლიმპიადაზე ჩამოვიდა დაახლოებით 1.500 მონაწილე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების მეომრები, მეთაურები, პოლიტმუშაკები, მათი ცოლები და შვილები.

დარბაზი, რომელშიც ოლიმპიადა მიმდინარეობს, გაჭედილია მუშათა საზოგადოებრიობის, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებით.

დამსწრეთა შორის არის საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ი. ეგოროვი.

ოლიმპიადის გახსნისას მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. რაზდოლსკი.

ოლიმპიადის პროგრამას იწყებს ნაკრები ქართული გუნდი ორკესტრით, 260 კაცის შემადგენლობით, ორდენოსან კომპოზიტორის ამხ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. „სიმღერა სტალინზე“ და „ლაშქრულის“ საუცხოოდ შესრულებას დამსწრენი აღფრთოვანებული ტაშით ხვდებიან.

ყოველ 5-10 წუთში იცვლებიან ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლები და ცალკეული სოლისტები. ასრულებენ საუკეთესო ხალხურ სიმღერებს ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბეიჯანულ ენებზე.

დაახლოებით 1.000 შემსრულებელი გამოვიდა ამ საღამოს ოლიმპიადაზე, რომელიც ორ დღეს გაგრძელდება.

ამხ. რაზდოლსკისთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ა. ი. ეგოროვმა აღნიშნა ნამდვილი ნაციონალური ხალხური ხელოვნების განსაკუთრებული ზრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში. (საქდესი).

მუშურ-გლეხური წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წლისათვის შესახვედრად

კიკვიძის სახელობის დივიზიაში

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის — კიკვიძის სახელობის დივიზიაში გაცხოველებული მზადება სწარმოებს წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახელოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

კიკვიძელი მეომრები ემზადებიან სასპორტო შეჯიბრებისათვის, რომელიც მალე დაიწყება მთელ გარნიზონში. დივიზიის ნაწილებში ბევრი კარგი მხატვარი გამოჩნდა, რომლებიც შეუდგნენ წითელი არმიის გმირული წარსულისა და აწმყოს ასახვას ფერადებით. ადგილობრივ მოეწყობა წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტხელთა, აგრეთვე მათი ცოლების თვითმოქმედების დემონსტრაცია. გაიხსნება გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება როგორც მხატვრობა და გრაფიკა, ისე მეთაურთა ცოლების ხელსაქმის ნამუშევრები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაიორ ნიკულინის მიერ შესრულებული სურათი „ბრძოლა ცარიცინთან“, სადაც ნაჩვენებია სტალინის სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგად მოპოვებულ გამარჯვებათა ერთერთი ეპიზოდი.

კოლორიტული ფერებით არის მოცემული სურათი „კიკვიძის ტანკი“, რომელიც წითელარმიელ ჟმურის დაუხატავს. სურათში მოცემული ეპიზოდი ნამდვილია. მისი შინაარსი ასეთია: კიკვიძეს ბენზინი ელეოდა, ჩასაფრებული ყაზახები კი მას ირგვლივ ერტყნენ. მაშინ კიკვიძემ ასეთ ხერხს მიმართა: ტანკი ჩაყენა ტალახში და დაუწყო ბუქსობა. ყაზახებს ეგონათ, ტანკს ტყვია-წამალი გამოელიათ, შემოეხვივნენ, შეუბეს ცხენები და მოიწადინეს ტანკისა და მისი ეკიპაჟის შტაბში მითრევა. როცა ყაზახთა დიდი მასა ტანკის წინ გაიჭიმა, კიკვიძემ მისცა მთელი გაზი, და მისმა ტყვიამფრქვევმა მოსცელა მოწინააღმდეგის რაზმი.

მრავალი სურათი, რომლებიც გადმოხატავენ ამხანაგ სტალინის გრანდიოზულ როლს ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში და სამოქალაქო ომის მონაწილეთა გმირულ წარსულს, წარმოდგენილი იქნება წითელი არმიის ლენინგრადის კიროვის სახელობის სახლში მოწყობილ დიდ გამოფენაზე.

კიკვიძის სახელობის დივიზიის მომღერალთა გუნდი, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობენ, ამზადებს საიუბილეო პროგრამას. გუნდს თავის რეპერტუარში შეტანილი აქვს: რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული და სხვა მრავალი ეროვნების სიმღერა.

დღესასწაულის დროს კიკვიძელთა ნაწილებში გაიმართება კინო-ფესტივალი. მეომრებს უჩვენებენ: „ჯავშნოსან პოტიომკინს“, „ჩეკინ კრონშტადტიდან ვართ“, „ჩაპაევს“, „უკანასკნელ ღამეს“, „ლენინი ოქტომბერში“, „ვოლოჩაევკის დღეებს“ და სხვ.

კიკვიძელნი ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ სახელოვან დღესასწაულს.

ოთარ ეგაძე

სტუდენტები ემზადებიან

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავთან დაკავშირებით იმართება მოხსენებები და ლექციები; სამხედრო კაბინეტ-ლაბორატორიებში გამოფენილია დიაგრამები და სქემები, რომლებიც ნათელ სურათს გვიხატავენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო თავდაცვის უნარიანობის ტექნიკის ძლიერებაზე.

ინსტიტუტის ადგილობრივი თვითმოქმედი წრეები სახელოვანი 20 წლისთავის დღეებში ინსტიტუტში ჩასატარებლად ამზადებს მთელ რიგ ახალ პროგრამებს ხალხური ფოლკლორიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და მისი სახელოვანი პირველი მარშალის კ. ე. ვოროშილოვის შესახებ.

20 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყობა ფრიადოსან სტუდენტთა შეხვედრა წითელი არმიის ნაწილებთან.

ი. პატარაია — ინჟინერ-გეოლოგი

გეოლოგიური კვლევა-ძიების ამოცანები საქართველოში

ქვეყნის სამეურნეო განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული დედამიწის წიაღთან, როგორც ნედლეულის გიგანტურ ბაზასთან.

პრაქტიკული ინტერესი გეოლოგიისადმი განსაკუთრებით დიდია ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი სოციალისტური მეურნეობა ყოველგვარი სახის მინერალურ ნედლეულს მოითხოვს და სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ XVI პარტიულმა ყრილობამ საჭიროდ სცნო გეოლოგიური კვლევითი მუშაობის გაძლიერებული ტემპებით წარმოება.

პირველი და მეორე ხუთწლედების მანძილზე უდიდესი მუშაობა სწარმოებდა რკინის მადნის, ფერადი ლითონების, ქვანახშირის, ნავთის, ფიქლებისა და სხვა მინერალური ნედლეულის მარაგის შესწავლის მიზნით.

მინერალური ნედლეულის მარაგის მხრივ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლაში დიდი მიღწევები აქვს საქართველოსაც. უკანასკნელი 7 - 8 წლის განმავლობაში გეოლოგიურად შესწავლილია ჩვენი მიწის წიაღის ათასნაირი საბადო, რომელსაც სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთებია ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოები, ახალციხის მურანახშირის მნიშვნელოვანი საბადო, ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების საბადოები საქართველოს მრავალ რაიონში და სხვ.

ჩვენი მიწის წიაღის სიმდიდრეთა ფართო გეოლოგიური კვლევა-ძიება მკვიდრ ნიადაგზე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დადგა.

წინათ, მეფისა და მენშევიკების შავბნელ დროში ბუნებრივ სიმდიდრეთა გეოლოგიური შესწავლა და მათი ექსპლოატაცია სრულიად უგებგმოდ და მტაცებლური წესით სწარმოებდა.

მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი საბადოები, როგორიცაა ტყიბულის ქვანახშირი, აჭარის სპილენძი და სხვ. წინათ გეოლოგიურად შეუსწავლელი იყო.

ახლა კი მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს მიწის წიაღის გეოლოგიურად შესწავლის მიზნით, მარტო ა.-კ. გეოლოგიური ტრესტის ხაზით დახარჯულია 3 მილიონ მანეთზე მეტი. გაიზარდა კადრი ახალგაზრდა გეოლოგებისა, რომლებიც გულწრფელად და ხალისიანად ემსახურებიან თავიანთ საყვარელ საქმეს, ხოლო თვით გეოლოგიური კვლევაძიება გეგმიანობის მტკიცე ნიადაგზე დადგა.

დიდ მიღწევებთან ერთად საქართველოს გეოლოგიურ სამსახურს დეფექტებიცა აქვს. გასულ წელს ცალკეულმა მეტად მნიშვნელოვანმა გეოლოგიურმა პარტიებმა საწარმოო გეგმა ვერ შეასრულეს. ასეთ ჩამორჩენილ გეოლოგიურ პარტიათა რიცხვს მიეკუთვნებიან ახალციხის მურანახშირის გეოლოგიური პარტია და დაღესტნის ჰიდროგეოლოგიური პარტია.

მექანიკური ბურღვის წლიური გეგმა შესრულებულია 90,8 პროცენტით; 2568 გრძივი მეტრის ნაცვლად დაბურღულია 2.333 გრძივი მეტრი. დამაკმაყოფილებელი სურათი არც ქვეყნის ჰიდროგეოლოგიისა და რუკების შედგენის დარგებში გვაქვს. მაგრამ, რაც მთავარია, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს საველე პერიოდში დაგროვილი გეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება. ეს უკანასკნელი თვეობით და ზოგჯერ კი მთელი წლობით ჭიანურდება.

გეოლოგიური კვლევა-ძიების ასეთი დეფექტები აიხსნება პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიის გეოლოგიური ტრესტის ძველი ხელმძღვანელობის მოუქნელი და მეტად სუსტი მუშაობით. ეს ხელმძღვანელები (კ. რიბინი და სხვა.) გონს მხოლოდ მაშინ მოდიოდნენ, როდესაც საქმე უკვე გაფუჭებული იყო. მაგალითად, ახალციხის გეოლოგიურ პარტიაში სახელმწიფო თანხები განიავდა, მთელი რიგი ჭაბურღილები კი მეტად სახიფათო ავარიებს განიცდიდა. ტრესტის ხელმძღვანელობამ ეს თავის დროზე ვერ შეამჩნია.

საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის მეორე ძირითადი მიზეზი მდგომარეობს სამთო სამუშაოების მეტად სუსტ მექანიზაციაში. მექანიკურ ბურღვაშიაც კი ცალკეული კვლევითი პარტიები უზრუნველყოფილი არ არიან ვარგისი საბურღავი დაზგებით. საბურღავი მანქანების პარკის დიდი ნაწილი ტექნიკურად გაცვეთილია, ხოლო მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში ავარიების შემთხვევები მატულობს, საველე სამუშაოები ჭიანურდება, კამერალური დამუშავების ვადები ირღვევა.

პირველ რიგში აუცილებელია საბურღავი მანქანების პარკის საგრძნობი ნაწილის განახლება, ხოლო მეორე ნაწილის კაპიტალური შეკეთება. დროა შევიგნოთ, რომ ყოველწლიურად მზარდი სოციალისტური მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფას ვერ შესძლებს ისეთი გეოლოგიური სამსახური, რომლის ტექნიკური ბაზა წერაქვებითა და ნიჩბებით ამოიწურება.

გეოლოგიური საკვლევი და საძიებელი სამუშაოების დაჩქარების საქმეში დიდი როლი ენიჭება სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლას. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საქართველოს გეოლოგიურ პარტიებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. გეოლოგიური ტრესტის ხელმძღვანელობა და ცალკეული გეოლოგიური პარტიების მეთაურები არამკოთუ არ ზრუნაკენ სტახანოვური მოძრაობის გაშლა-გაღრმავებისათვის, არამედ დამკვრელი მუშების უბრალო აღრიცხვასაც კი არ აწარმოებენ.

სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ გეოლოგიური ტრესტის სისტემის გეოლოგიურ პარტიებში სრულიად მივიწყებულია სოციალისტური შეჯიბრება, შრომის ნორმირება, ტექნიკური და გამომუშავების ნორმების დადგენა სამუშაოთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

ა.-კ. გეოლოგიური ტრესტის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა გეოლოგიური პარტიების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დიდი ნაწილის შრომის ხელფასის მოწესრიგებაც. სახელდობრ, მომუშავეთა დიდი უმრავლესობა დღემდე გადაყვანილი არაა ხელფასის სანარდო-პროგრესულ და პროგრესულ-პრემიალურ სისტემაზე.

საქართველოს გეოლოგიური ტრესტის განახლებულმა ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ უახლოეს მომავალში ზემოთჩამოთვლილი მეტად მტკივნეული საკითხების დადებითად გადაჭრა.

ბოლოს, საქართველოში გეოლოგიური საკვლევი და საძიებელი საქმის განვითარების მიზნით, საჭიროა დაჩქარდეს საქართველოს გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის ისეთი გარდაქმნა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სახკომსაბჭოს გასული წლის 27 დეკემბრის დადგენილებით.

როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა გაზეთი „კომუნისტი“, ჩვენი მიწის წიაღის შესწავლის არადამაკმაყოფილებელი შედეგები იმითაც აიხსნება, რომ დღემდე გეოლოგიური სამუშაოები სწარმოებდა არა ერთიანი და მთლიანი გეგმის საფუძველზე, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, დაქუცმაცებულად.

საქართველოს სახკომსაბჭოს ზემოხსენებული დადგენილებით ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო ეღება. საქართველოში ყალიბდება ერთი გეოლოგიური ტრესტი, რომელმაც ერთიანი გეგმის საფუძველზე უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს ტერიტორიაზე ყოველნაირ გეოლოგიურ სამუშაოს.

საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებაში მოცემულია გეოლოგიური სამსახურის გაუმჯობესების კონკრეტული პროგრამა, მაგრამ მისი განხორციელება რატომღაც ძალიან ჭიანურდება.

საქართველოს გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის გადახალისებასთან ერთად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება, სახელდობრ, აუცილებელია საქართველოს გეოლოგიური ტრესტის სისტემაში მოეწყოს: პალეონტოლოგიური და პეტროგრაფიული კაბინეტები, სამხაზველო ბიურო რუკების შესადგენად, დამოუკიდებელი კაბინეტი კამერალურ სამუშაოთა საწარმოებლად და საკუთარი გამომცემლობა.

გარდა ამისა, ტრესტის სისტემის ქიმიურმა ლაბორატორიამ საგრძნობლად უნდა გაუმჯობესოს თავისი მუშაობის მეთოდები. მან უნდა შესძლოს კამერალური სამუშაოების დროული უზრუნველყოფა საჭირო ანალიზებითა და სხვა მასალებით.

მხოლოდ ასეთ ღონისძიებათა გატარებით და მუშაობის მეთოდების სწრაფი გარდაქმნით შესაძლებელი გახდება გეოლოგიური კვლევაძიების გაუმჯობესება და განვითარების მაღალ საფეხურზე აყვანა.



ახალი აფხაზური აღფაბეჟი

არსებული ლათინიზებული ალფაბეტიდან აფხაზური დამწერლობა გადადის ახალ, ქართულზე დაფუძნებულ ალფაბეტზე.

წინანდელი აფხაზური ალფაბეტის ძირითად 51 ნიშანში ლათინური ალფაბეტის მხოლოდ 21 ნიშანია; დანარჩენი 30 კი დამატებით წარმოებული ნიშნებია. ეს ნიშნები არღვევენ ლათინურისა და, მაშასადამე, აფხაზური ალფაბეტის სტილსაც.

სტილის უქონლობა და დიდძალი დამატებითი ნიშნების არსებობა ძალზე ართულებს კითხვას და წერის სისწრაფეს.

დამატებით წარმოებული ნიშნები სრულყოფილი არ არის, რის გამო ირღვევა არა მარტო სტილი, არამედ ნიშნების თანმიმდევრობაც ალფაბეტში.

როგორც ცნობილია, არცერთი ალფაბეტი, გარდა ქართულისა, არ ამოსწურავს აფხაზური ალფაბეტის ყველა ბგერას. ქართული ალფაბეტის უპირატესობას სხვა ალფაბეტებთან შედარებით წინათაც გრძნობდნენ, მაგრამ მეფის რეჟიმის სასტიკი რუსიფიკატორული პოლიტიკის დროს არ შეიძლებოდა თუნდაც საკითხის დასმა ქართულ ალფაბეტზე გადასვლის შესახებ.

ლათინური ალფაბეტის სტილმა უბადრუკი ბურჟუაზიულ - ნაციონალისტების ხელში დაჰკარგა თავისი სისადავე. აფხაზური ალფაბეტის 51 ნიშნისათვის მათ გამოიყენეს ლათინური ალფაბეტის მხოლოდ 21 ნიშანი, დანარჩენი 30 ნიშნის შექმნა ინდო-ევროპული ლინგვისტების ფანტაზიას მიანდვეს. შეთხზული ანბანი, რომელიც ლათინურის ნამდვილ კარიკატურას წარმოადგენდა, მათ ხელოვნურად თავს მოახვიეს აფხაზეთის ხალხს და მით გაურთულეს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა. უფრო მეტიც — უნიფიცირებული ლათინური ალფაბეტი მოჩმახული ნიშნებით აფერხებდა აფხაზური კულტურის წინსვლას. შემთხვევითი მოვლენა კი არ არის ის ფაქტი, რომ ლათინურ ალფაბეტზე, რომელსაც ათზე მეტი წლის ისტორია აქვს, დღემდე არავის შეუძლიან სწრაფი კითხვა, ან წერა. ცხადია, აქ. დამწერლობაში საქმე გვაქვს პირდაპირ მავნებლობასთან.

ეს გარემოება მკვეთრად აღნიშნა აფხაზეთის მე-15 პარტიულმა კონფერენციამ და სრულიად სამართლიანად დააყენა საკითხი აფხაზური ალფაბეტის შედგენის დროს დაშვებული მიუტევებელი შეცდომების დაუყოვნებლივი გამოსწორებისა და აფხაზური ალფაბეტის ქართული ალფაბეტის საფუძველზე გადაყვანის შესახებ.

ცნობილია, რომ ქართული ალფაბეტი უნაკლოა. ქართული ენის თვითეულ ბგერას გამოხატავს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი ნიშანი და თვითეული ნიშანი მუდმივ გამოხატავს ერთსადაიმავე ბგერას. ამით აიხსნება ქართული ალფაბეტის სტილის სიმტკიცე და სისადავე. ქართული ალფაბეტი მცირე ოდენობის დამატებითი ნიშნების შეძენით ამოსწურავს აფხაზური ალფაბეტის თითქმის ყველა ბგერას. არსებული ქართული ალფაბეტის 33 ნიშანს დაერთვის ექვსი დამატებითი ნიშანი აფხაზური ალფაბეტის სპეციფიკური ბგერების გამოსახატავად. ამრიგად, ლათინიზებული აფხაზური ალფაბეტის 51 ნიშნის ხაცვლად, ახალ აფხაზურ ალფაბეტში ჩვენ გვექნება მხოლოდ 39 ნიშანი.

ახალი ალფაბეტის პროექტი შეადგინეს აფხაზეთის განსახკომმა და აფხაზური კულტურის ინსტიტუტმა პროფესორების პ. ა. შარიას, ა. შანიძის, ს. ჯანაშიას, ა. ჩიქობავას და ვ. თოფურიას უახლოესი მონაწილეობით. წარდგენილი პროექტი განხილულ და დამტკიცებულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის მიერ.

ამჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა სახელმძღვანელოების, სასწავლო წიგნებისა და სხვა ლიტერატურის ხელახლა გამოსაცემად იმ მოსაზრებით, რომ ახალი სამოსწავლო წლიდან აფხაზურ სკოლებში შემოღებულ იქნას სწავლება ამ ალფაბეტზე.

ახალი აფხაზური ალფაბეტის შემოღება ხელს შეუწყობს აფხაზური ენისა და ლიტერატურის უფრო ღრმად შესწავლას და განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ გაუადვილებს აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას შეითვისოს და შეისწავლოს მომძე აფხაზთა ენა.

ჩვენ გვწერენ

მოსამართლის უღარღლობა

თელავის რაისახალხო სასამართლოს მოსამართლენი — ბაკურაძე და გავარდაშვილი გულგრილად ეკიდებიან სისხლის სამართლის დამნაშავეთა, გამფლანგველთა, სახელმწიფო ქონების მიმთვისებელთა საქმეებს.

გასული წლის 2 აგვისტოს, როდესაც სახალხო მოსამართლე ბაკურაძე მშრომელებს ანგარიშს აბარებდა, გამოაშკარავდა, რომ მას 823 საქმიდან არცერთი არ ჰქონდა გარჩეული, სისრულეში არ იყო შოყვანილი სასამართლოს 383 გადაწყვეტილება. ბაკურაძე პირობას სდებდა, შემდეგში ბოლო მოეღება საქმეების გაჭიანურებასო, მაგრამ ეს დაპირება ლიტონი სიტყვა გამოდგა.

თელავის რაისახალხო სასამართლოში საქმეები თავის დროზე არ ირჩევა. ასე, მაგალითად, სერგო გომელაურის საქმე თელავის რაიპროკურორმა გასული წლის აპრილში გადასცა სახალხო სასამართლოს, მაგრამ ეს საქმე იმავე წლის 10 დეკემბერსაც არ იყო გარჩეული.

რაიპროკურორის მიერ აგვისტოში გადაცემული ექვსი საქმიდან, რომლებიც შეეხება სისხლის სამართლის დანაშაულობას და საკოლმეურნეო თანხების გაფლანგვას, დღემდე არცერთი არ არის გარჩეული.

ასევე გაურჩეველია სახალხო სასამართლოსათვის ივლისში გადაცემული შვიდი საქმე.

თელავის რაისახალხო სასამართლო აბორტმახერებს არ ებრძვის.

რაიპროკურორმა გასული წლის აპრილში სახალხო სასამართლოს გადასცა მარო ოსკანოვას საქმე მუცლის მოშლის შესახებ, მაგრამ სასამართლოს ოსკანოვა არ დაუსჯია. ასევე გულგრილად მოეკიდა სასამართლო ელო დედაბრიშვილის ამავე შინაარსის საქმეს. აბორტმახერი თამარ შათირიშვილი, რომელმაც აბორტი გაუკეთა სარა ჭერიაშვილს, დღემდე დაუსჯელად დადის.

ბევრი გამფლანგველი, ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამმახინჯებელი, ხულიგანი და აბორტმახერი (მაღრაძე, ყარაულაშვილი, მათიკაშვილი და სხვ.) თავს არხეინად გრძნობს ამ მოწყალე მოსამართლეთა მეოხებით.

დროა რესპუბლიკის პროკურორმა მიიღოს საჭირო ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ს. ყუჩაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სპალინურ წესდებას არღვევენ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო მამხილებელი კორესპონდენცია, რომლის ავტორი ცხაკაიას რაიონიდან გვატყობინებდა — სოფელ ზანის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. შარტავა თავისი მავნებლური მუშაობით განგებ ჰქმნის უკმაყოფილებას კოლმეურნეობაში, ამახინჯებს საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევ კანონს — სტალინურ წესდებას და ანიავებს კოლმეურნეობის საერთო ქონებასო.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ცხაკაიას რაიმიწგანის გამგეს, რომელიც გვწერს, წერილში აღნიშნული მასალები დადასტურდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. შარტავა მოხსნილია თანამდებობიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

„მიუზეევებელი დანაშაული“

„კომუნისტის“ რედაქციამ ამ სათაურით მიიღო კორესპონდენცია, რომლის ავტორი ქუთაისიდან გვატყობინებდა, რომ კავშირგაბმულობის ზოგიერთი რაიგანყოფილების მუშაკები თავს არ იწუხებენ წერილების წესიერად გარჩევისათვის. მაგ. ონის, ცაგერის, ბაღდათის, ქუთაისის და ვანის რაიგანყოფილებები ხშირად წერილებს ხსნიან, არადანიშნულებისამებრ გზავნიან და სხვ.

კავშირგაბმულობის სამმართველოს საჩივართა ბიუროს განყოფილების გამგე, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გაგზავნილი, გვწერს: წერილში აღნიშნული მასალები სიმართლეს შეეფერება, ქუთაისის რაიგანყოფილებაში მომუშავეები მ. ქანთარია და ი. ჭანკელიძე მოხსნილი არიან სამსახურიდან და მიღებულია აგრეთვე ზომები სხვა რაიონებში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რა ხდება სააუთიაქო სამმართველოში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ გასული წლის 29 აგვისტოს ნომერში ძოთავსებული იყო წერილი, რომელიც ამხელდა საავთიაქო სამმართველოს ცუდ მუშაობას.

წერილის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ამხ. ვარლამ ათანასეს-ძეს თოდუას და ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე ცაგურიას, არ დადასტურდა.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოსკოვის ორდენოსანი თეატრების მომართვის პასუხად

4 თებერვალს თბილისს თეატრებში შესდგა ირავალრიცხოვანი მიტინგები; მიტინგები მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთადმი მოსკოვის ორდენოსანი თეატრების იმ მიმართვის განხილვას, როელიც შეეხება მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისათვის მზადებას.

მიტინგზე ოპერისა და ბალეტის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გამოვიდა მსახიობი-ორდენოსანი დ. ანდდულაძე, რომელმაც წაიკითხა მომართვა.

ერთხმად მიღებული რეზოლუციით კოლექტივის მუშაკებმა გადასწყვიტეს: მოაწყონ წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთათვის ორი დილის სპექტაკლი — დასდგან ოპერა „კარმენი“, მოაწყონ რადიოკონცერტი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, კორპუსის სარდლის ამხ. კუიბიშევის ბინაზე და სოლისტი მსახიობების — ორდენოსნების ნ. ცომაიას, ე. სოხაძისა და ლ. გიორგაძის სამი შემოქმედებითი პატაკი წითელი არმიის სახლში.

სამი მხატვრული ბრიგადა ოპერის მსახიობთა შემადგენლობით მოეწესახურება თბილისის გარნიზონისა და ოესპუბლიკის რაიონების სამხედრო ნაწილებს. წითელი არმიის სახლში შესდგება თეატრის მუშაკთა შეხვედრა მებრძოლებთან და მეთაურებთან.

ᲝᲝ

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი დრამატიული თეატრის მიტინგზე მოსკოვის ორდენოსანი თეატრების მომართვის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ორდენოსანი ა. ვასაძე.

მიტინგზე მოვიდა ოპერისა და ბალეტის ზ. ფალიაშვილის სახელობის ორდენოსანი თეატრის დელეგაცია ორდენოსნების პ. ამირანაშვილის, დ. გამრეკელის, მ. ნაკაშიძისა და ა. წუწუნავას შემადგენლობით; დელეგაციამ მიტინგს გააცნო ოპერის თეატრის კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი.

ოესთაველის სახელობის თეატრის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება მოაწყოს მხატვრული ბრიგადები სამხედრო ნაწილების მომსახურებისათვის. გადაწყვეტილია აჩვენონ მებრძოლებს, მეთაურებსა და მათს ოჯახებს დილის სპექტაკლზე შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“. თეატრის ოსტატები შემოქმედებითი პატაკებით გამოვლენ წითელი არმიის სახლში.

შუა აპრილში თეატრი დასდგამს გ. მდივანის პიესას „სამშობლოს“, რომელიც ასახავს ჩვენი სახელოვანი მესაზღვრეების ვბირეულ ბრძოლას დიდი საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვისათვის.

ᲝᲝ

გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაკთა მატინგზე გამოვიდა თეატრის დირექტორი კ. შახ-აზიზოვი ინფორმაციით ამ ახალ ვალდებულებათა შესახებ, რომელთაც თეატრი კისრულობს.

გრიბოედოვის სახელობის თეატრთან არსებულ სათეატრო სასწავლებელში ასდგება „მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავის“ სახელობის სტიპენდია. თეატრის რეპერტუარში შეტანილი იქნება პიესა თავდაცვის თემაზე.

სახელოვანი წლისთავის დღეებში მოეწყობა მიზნობრივი სპექტაკლები გარნიზონისა და შინსახკომის № ლეგიონის ნაწილებისათვის: დაიდგმება პიესები „რევიზორი“, „პრინსპირ“ და „მე-12 ღამე“, თეატრას სტუდიელთა ძალებით კი — პიესა „ფსკერზე“.

გადასწყდა მოეწყოს თეატრში წითელი არმიისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზედაც ასახული იქნება სამხედრო-საშეფო მუშაობა. თეატრის საშეფო ნაწილებში ეწყობა გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ᲝᲝ

იმავე დღეს გაიმართა მატინგები მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სომხური და აზერბაიჯანული დრამის თეატრებში, ნორჩ მაყურებელთა ქართულ და რუსულ თეატრებში. (საქდესი).

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ (საკ. კორ.). მწერალთა კავშირის გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს „მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის ქართველი რომანტიკოსების“ გამოცემა. აღნიშნულ კრებულში შევა გრიგოლ ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწარმოებნი. ქართველი რომანტიკოსების ლექსების თარგმანზე მუშაობენ ნიკოლოზ ტიხონოვი, ზაბოლოცკი, ბორის ბრიკი, სპასკი და სხვ.

მეორე დიდი გამომცემლობა—„დეტიზდატის“ ლენინგრადის განყოფილება უშვებს „ქართული ლიტერატურის ანთოლოგიას“ რუსთაველიდან მოკიდებული დღევანდლამდე.

ანთოლოგია გამოვა 3 ტომად. პირველი ტომი შეიცავს პოეზიას, მეორე პროზას, მესამე — ფოლკლორს.

ო.თ. ᲔᲒᲐᲫᲔ.

ᲐᲕᲒᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲥᲘᲛᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებამ მიიღო სამი მსუბუქი ავტომობილი ექიმთათვის, რომლებსაც სახლში იწვევენ ავადმყოფი რკინიგზელები. ორი ავტომობილი მიმაგრებულია თბილისის რკინიგზელთა პოლიკლინიკაზე, სადაც შემოღებულია ექიმთა მორიგეობა დღე-ღამის განმავლობაში. მესამე ავტომობილი მომსახურებას გაუწევს ბაქოს რკინიგზელთა კლინიკას.



6 თებერვალს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო საჭადრაკო ჩემპიონატი თბილისის პირველობაზე. **სურათზე:** ჩემპიონატის მონაწილენი კ. ღამბარაშვილი და ვ. ხოტელაშვილი პარტიას გარჩევის დროს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილისის ფეხბურთელთა ნაკრები გუხდისა და ბათუმის „დინამოს“ ამხანაგური შეჯიბრება ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 6 თებერვალს. **სურათზე** — თამაშის ერთერთი მომენტი.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

თბილისი—ბათუმი

6 თებერვალს თბილმა მზიანმა დარმა დიდძალი ხალხი მიიზიდა „დინამოს“ სტადიონზე. თამაშობდნენ თბილისის ნაკრები გუნდი და ბათუმის „დინამო“. ნაკრებში შედიოდნენ თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ბურევესტნიკის“ მოთამაშენი.

შეჯიბრების დაწყებისთანავე აშკარა შეიქნა ბათუმელების უპირატესობა. ისინი თამაშობდნენ სწრაფად, მოფიქრებით და დიდი სპორტული აზარტით. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა გუნდის კაპიტანი, მარცხენა ინსაიდი ა. მარუაშვილი, რომელიც აზრიანად ანაწილებდა ბურთებს. უკვე მეხუთე წუთზე ბათუმელმა არა-მიძემ კარგად გამოიყენა მარუაშვილის „პასი“ და მოხდენილი დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა. შემდეგში გუნდებმა თითო ბურთი გაიტანეს და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 2:1 ბათუმის „დინამოს“ სასარგებლოდ.

თბილისელებმა, რომლებსაც ამ დღეს დაბნეულობა და უსისტემო თამაში ახასიათებდათ, მეორე ტაიმი კიდევ უფრო სუსტად ჩაატარეს. ბათუმელებმა კიდევ ორჯერ შეარხიეს თბილისის ბადე და გამარჯვებული გავიდნენ მინდვრიდან—ანგარიშით 4:1.

გამარჯვებულნი თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: მეკარე—კელეჯიანი, მცველები—ფეხლივანიდი და ფსაროსი, ნახევარმცველები—მარტიროსიანი, მაგდესიანი და კაპიდი, თავდამსხმელები—არა-მიძე, მარუაშვილი, ჭოლოკიანი, კაზანჯიანი და ტოკმაჯიანი.

თბილისელებიდან მხოლოდ ჯოჯუა და ეგიაზაროვი იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე.

კარგად სჯიდა თამაშს ს. სიხარულიძე.

ᲞᲘᲠᲣᲤᲧᲕᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

თბილისას საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველომ შეაჯამა ქალ. თბილისში პირუტყვის აღრიცხვის შედეგები. ამ შედეგებს გაეცნო თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც დაავალა რაისაბჭოებსა და ქალაქის სავეტერინარო ინსპექციას მომავალში მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება მეცხოველეობის განვითარების მიღწევების შესანარჩუნებლად და პირუტყვის სულადობის გასამრავლებლად.

აღრიცხვის შედეგების შეჯამებიდან ირკვევა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში თბილისში პირუტყვის რიცხვი (დასაკლავად ჩამორეკილი პირუტყვის ჩაუთვლელად) 47,1 პროცენტით არის გაზრდილი. განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მეცხვარეობა-მეღორეობაში. ცხვრის სულადობა ერთ წელიწადში 85,1 პროცენტით გაზრდილა, ხოლო ღორისა—107,1 პროცენტით.

ᲡᲐᲥᲥᲘᲛᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება აწყობს საქქიმო პუნქტებს ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში, მოზარდ მაყურებელთა თეატრებში და სხვა. საქქიმო პუნქტები მომსახურებას გაუწევენ მაყურებლებს წარმოდგენის დროს, აგრეთვე მსახიობებსა და თეატრის თეელ პერსონალს.

ᲗᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

— **სპეკულანტი.** მილიციამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა სპეკულაციისათვის რკინიგზის ვაგონების გამყოფი მ. Ე. ვიტაკი. ვიტაკის სამსახურის საქმეების გამო უხდებოდა ყოფნა საბჭოთა კავშირის ქალაქებში, სადაც ყიდულობდა სხვადასხვა მასალას, მოჰქონდა თბილისში და აქ სპეკულატურ ფასებში ჰყიდდა. ვიტაკის აღმოაჩნდა 150 მეტრი მაღალხარისხოვანი შალიული.

— **უბედური შემთხვევა.** 6 თებერვალს საღამოს ორთაჭალაში, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პირდაპირ, ტრამვაის ტრესტის ავტომანქანა № 10—01, რომელსაც მართავდა შოფერი მ. შ. ავაკოვი, დაეჯახა მოქ. დ. ს. კურიტაშვილს (ლეოთის ქ. № 6) და მძიმედ დააშავა. საავადმყოფოში მიყვანისას კურიტაშვილი გარდაცვალა. შოფერი შეაპყრეს.

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

8 თებერვალს

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში იმპერიალისტური ომის წინ“ (1912—1914 წ. წ.). კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. რამაშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „მუშათა კლასის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში“. კონსულტანტები ქართულ ენაზე ამხ. ყიფშიძე, რუსულ ენაზე — ამხ. ი. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები“. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. თავართქილაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

8 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება კონსულტაცია აგიტატორებისათვის, რომლებიც მუშაობენ საარჩევნო უბნებში. თემა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ლენინურ-სტალინური მთავრობა“. — ქართულ და რუსულ ენებზე.

ᲝᲝ

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი წინადადებას აძლევს გიორგი მახვილის-ძე გეტაშვილს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომის საღრიცხვო სექტორში.

ᲝᲝ

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი სთხოვს პლატონ ლუკას-ძე წოწორიას 8 თებერვალს გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომში ამბ. არჩილ ქუფარაშვილთან (ქ. სოღნაღი, ცენტრის ქ. № 3).

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი ᲙᲐ. ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐ.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

8/II	მუდმ. ადგ. ტალონი № 99 ᲖᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ
9/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 100 ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘ
10/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 101 ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილის ტალონები მიიღება სახლის ბუხჰალტერიაში. საჭიროა წარმოადგინოთ ხელშეკრულება და მიღების მინდობილობა. ტალონების მიღების უკანასკნელი ვადა—10 თებერვალი.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

8/II	წარმოდგენა 94 ᲐᲚᲙᲐᲖᲐᲠ
9/II	წარმოდგენა 95 ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲗᲐᲝᲑᲐ
10/II	წარმოდგენა 96 ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲗᲐᲝᲑᲐ

მაყურებელთა საყურადღებოდ
ზედა ფანსაკველის შენახვა უფასოა
იმ საწარმო-დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომლებსაც შეძენილი აქვთ მუდმივი ადგილები: მე-4 გადასახადელი შეიტანილ უნდა იქნას 15 თებერვლამდე. სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

8/II წარმ. № 97	ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲚᲘᲓᲐᲜ
9/II წარმ. № 98	ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲚᲘᲓᲐᲜ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

ᲡᲐᲮᲚᲘᲠᲙᲘ. ტელ. 3-11-44
დღეს, 8 თებერვალს
გასახალებული პროგრამა:
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲜᲘᲕᲐ
ᲛᲐᲠᲐᲡ ჯგუფის ატრაქციონის პირველი გამოსვლა მწრთვნელ ეკლერის **ᲓᲐᲛᲘᲗᲔᲑᲘᲡ** ჯგუფის გამოსვლა და სხვა ნომერები.
დასაწყისი 8 ს. 30 წ., სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
12 თებერვ. წარმოდგენა დღისით **ᲜᲘᲕᲐ ᲛᲐᲠᲐᲡ** ატრაქციონის მონაწილეობით. მწრთვნ. ეკლერის დათვების ჯგუფი და ყველა ახალი ნომერი.

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29
8 თებერვალს ტალ. № 38
I
ქართულ-კახეთის გუნდი ხელოვნ. დამსახ. მოღვაწის **ᲛᲐᲠᲝ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ხელმძღვანელობით
II
მეჩონგურეთა ანსამბლი
ᲐᲚ. ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ხელმძღვანელობით
III
ᲔᲡᲒᲠᲐᲫᲔ
9 თებერვალს ტალონი № 39
I
ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ
ხელოვნ. დამსახ. მოღვაწის **ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲥᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ** ხელმძღვანელობით
II
ᲙᲐᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ბილეთები იყიდება.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ. 17653

თანახმად წევრთა საერთო კრების და საქსარეწყეკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებისა, არტელი **„ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ“** 1938 წლის 7 თებერვლიდან
ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა. წ. 22 თებერვლამდე, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზია ნიღებული არ იქნება.
ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. თბილისი, კამოს ქ., № 4/6.
17654 ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲙᲝᲛᲘ.

Ა. Დ. ᲭᲚᲔᲜᲯᲘ
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲐ
საქ. სახ. ზოოვეტინსტიტუტის სალაროს მრგვალი უღერბო ლუქის ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად.
17645

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
პლეხანოვის გამზ. № 135
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8
ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲔᲚᲘ
პლეხანოვის გამზ. № 91
ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ
პლეხანოვის გამზ. № 125
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ
რუსთაველის გამზ. № 23
ᲐᲠᲡᲔᲜᲐ
კომუნალური ქ. № 9
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲜᲓᲠᲐᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ
ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი
ᲑᲐᲚᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘ
დასაწყ. 6 ს.
ხმ. დოკუმენტალური ფილმი: 1) ამბანაგ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ** ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წ. 11 დეკემბერს—სსრ კავშირის დიდ თეატრში.
2) სსრ კავშირში დიდი სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავი **ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ**
ახალი ხმოვ. ფილმი **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲐ**
დასაწყ. 6-30
ხმოვანი ფილმი **ᲗᲔᲗᲠᲘ ᲘᲐᲚᲫᲐᲜᲘ**
დასაწყ. 6 ს.
ხმოვანი ფილმი **ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ**
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲘᲐᲚᲫᲐᲜᲘ
ხმოვ. კინო-ნარკვევი **ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲐᲮᲐᲚᲝ ᲬᲔᲚᲝ.**

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ

ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲛᲔᲣᲜ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲢᲠᲔᲡᲢᲘ „ᲡᲐᲥᲙᲝᲛᲔᲣᲠᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“ 1937 ᲬᲚᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	142.100
2	დაუ